ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## საქართველოში შეძენილი 10 სათამაშოდან 9-ში მავნე ნივთიერება აღმოჩნდა



გვ.6

**1 ივნისიდან**

ონორე დე ბალზაკი

**გამქრალი ოცნებანი**

წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



პარასკევი, 2 ივნისი, 2017 №129 (7364) ფასი: 50 თეთრი

# „სასკოლო გამოცდები უნდა გაუქმდეს“

გვ.5



გვ.3

## „მუხთარლის გატაცება საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია“

ზვიად კუპრავა: „შს მინისტრმა აღიარა, რომ სახელმწიფო აღარ ვართ“





გვ.3

## საპატრიარქომ ედიშერ ქარჩავას ყვითელი ბარათი აუფრიალა

მეუფე პეტრეს საკითხს წმინდა სინოდი განიხილავს

## ირაკლი კობახიძე: „თბილისის მერობის კანდიდატი ჯერ შერჩეული არ გვყავს“



გვ.3



გვ.5

## რას უკავშირდება ოპონენტების დაპატიმრების ახალი ტალღა აზერბაიჯანში



გვ.4

## ლევან ალაფიშვილი: „ვერ გავიგე, რა ნიშნით აჯობა შოთა გეწაძემ კოტე კორკელიას“

„სტრასბურისთვის მთავარია არა პერსონალიები, არამედ პროცედურები“

## ეკა გიგაური: „ცერცვაძეს დაავალეს და წავიდა, რათა მისი ადგილი ჩინჩალაძეს დაეკავებინა“



გვ.2

„აბსურდია, რომ აფგან მუხთარლიმ თავად გადაკვეთა საზღვარი, როცა იცოდა, რომ აზერბაიჯანში პრობლემები ექნებოდა“

ISSN 1987-9385

## გივი თარგამაძე: „აფგან მუხთარლის აზერბაიჯანში გადაყვანა ურა მამაცაშვილის პირადი ინტერესი იყო“



გვ.4




გვ.6

## შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველები სახელმწიფო შემწეობას აღარ მიიღებენ

# ეკა გიგაური: „ცერცვაძეს დაავალეს და წავიდა, რათა მისი ადგილი ჩინჩალაძეს დაეკავებინა“

## „აბსურდია, რომ აფგან მუხთარლიმ თავად გადაკვეთა საზღვარი, როცა იცოდა, რომ აზერბაიჯანში პრობლემები ექნებოდა“

ნონა ცაბაძე

აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლისთან დაკავშირებული სკანდალის, ასევე სასამართლო რეფორმასთან არსებული პრობლემების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ხელმძღვანელი **ეკა გიგაური** პასუხობს.

***– ეკა, აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცებასა და შემდგომ მის დაპატიმრებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც საერთაშორისო, ისე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან. აღნიშნულ საქმეს თქვენი ორგანიზაცია აკვირდება. რა მოხდა რეალურად და რატომ ადანაშაულებენ ამ ყველაფერში ქართველ სამართალდამცავ ორგანოებს?***

– მთავარია ის, რომ როდესაც გაჟღერდა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის ადვოკატის მხრიდან ინფორმაცია, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი თბილისის ცენტრიდან გაიტაცეს და ეს ადამიანები იყვნენ ჩაცმული პოლიციელების ფორმაში, ჟურნალისტი იყო ნაცემი და რატომღაც აღმოჩნდა აზერბაიჯანულ მხარეს, ამ კონკრეტულ ბრალდებაზე სანდო პასუხი ჩვენ არ მიგვიღია სამართალდამცავი უწყებების მხრიდან.

***– მოვისმინეთ სხვადასხვა სახის შეფასებები, რომ ჟურნალისტი თავად გადავიდა აზერბაიჯანულ მხარეს და ასე შემდეგ.***

– ეს ადამიანი იმყოფებოდა საქართველოში და, ფაქტობრივად, თავი დააღწია აზერბაიჯანში არსებულ რეჟიმს. ძალიან რთულად ვიჯერებთ იმ ფაქტს, რომ მან თავისი ფეხით გადაწყვიტა ისევ აზერბაიჯანში დაბრუნება. არარეალურია იმაზე საუბარი, რომ ჟურნალისტმა, რომელმაც იცოდა, საფრთხე შეექმნებოდა, უკანონოდ მაინც გადაკვეთა საზღვარი. აბსურდია ამაზე საუბარი, ამის არავის სჯერა!

დღეს ჩვენ გვესმის შეფასებები ოფიციალური პირების მხრიდან. ზოგი საუბრობს იმაზე, რომ თავისი ფეხით გადავიდა, ზოგი საუბრობს იმაზე, რომ საერთოდაც ჟურნალისტი არ არის და სხვა პროფესიის არის, მაგრამ საზოგადოებისთვის გაუგებარია ეს ლოგიკა და, თუკი მთავრობა ხედავს, რომ ვიღაცამ დაუშვა შეცდომა, ჯობია, ეს შეცდომა აღიაროს და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვით. ასე შეძლებს საქართველო, რაღაცნაირად შეინარჩუნოს სახე.



***– წინააღმდეგ შემთხვევაში?***

– საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე საუბრობენ იმის თაობაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო დაეხმარა მეზობელ ქვეყანას ჟურნალისტის გატაცებაში და ეს ჟურნალისტი გადასცა აზერბაიჯანულ მხარეს. ეს არ არის ის ქმედება, რომელიც შეიძლება ჩაიდინოს ცივილიზებულმა და ევროპული ღირებულებების მქონე სახელმწიფომ!

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი იყო ეს ჟურნალისტი, რომელიც აზერბაიჯანულ ოპოზიციასთან თანამშრომლობდა. თქვენ თუ გსმენიათ ამის თაობაზე რაიმე?***

– მე არ მსმენია მსგავსი ინფორმაცია, მაგრამ, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არის ისეთი ტიპის საუბრები და ისეთი ინფორმაციები, რომლის მიზანიც არის, მთავარი აქცენტები გადავიტანოთ სხვა საკითხებზე. აქ კი მთავარი არის ის, რომ ეს ადამიანი გაიტაცეს საქართველოს



ტერიტორიიდან და ჩაიყვანეს აზერბაიჯანში. ამიტომ, თუკი ვინმეს ჰქონდა პრეტენზია მის საქმიანობასთან დაკავშირებით, მაშინ შეიძლებოდა სხვა ქმედებები განეხორციელებინათ და, ჩვენი კანონმდებლობით, შესაბამისი ზომები მიეღოთ სპეცსამსახურებსა და საგამოძიებო ორგანოებს.

***– მოჰყვება ამ ამბავს საერთაშორისო სკანდალი?***

– საერთაშორისო სკანდალი უკვე არის. განცხადება გაერომაც გააკეთა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც. საერთაშორისო მედიაც აქტიურად განიხილავს ამ ამბავს. ჩვენს რეპუტაციას უკვე ძალიან მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. ახლა არის საუბარი იმაზე, თუ რას მოიმოქმედებს სახელმწიფო. სახელმწიფომ კი უნდა აღიაროს შეცდომა და დასაჯოს ის ადამიანები, რომლებმაც ეს გადაწყვეტილება მიიღეს, აიღოს პოლიტიკური პასუხისმგებლობა და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ზომა იმისთვის, რომ ამ კონკრეტული ადამიანის უფლებები იყოს დაცული! ჟურნალისტის ადვოკატები უჩივიან საქართველოს ხელისუფლებას კონვენციის მუხლების დარღვევისთვის.

***– ეკა, თქვენი ორგანიზაცია მნიშვნელოვან მონიტორინგს ახორციელებს სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე. ორიოდე დღის წინ თქვენი ანგარიში უნდა გაგეცნოთ საზოგადოებისთვის. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი პირები, თუმცა ეს შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებმა პროტესტის ნიშნად ჩაშალეთ. რაშია პრობლემა, რა ხდება სასამართლო სისტემაში? რატომ წინაურდებიან წინა ხელისუფლების დროინდელი ოდიოზური ფიგურები?***

– ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში ფიგურირებდნენ ჩვენს ანგარიშებში, არა მხოლოდ იმყოფებიან სასამართლო სისტემაში, არამედ არიან დაწინაურებულები და უვადოდ დანიშნულებიც კი. საზოგადოებას ვერ აუხსნეს, რატომ მიანიჭეს უპირატესობა ამ კონკრეტულ პირებს და არ დანიშნეს მათ ადგილზე ახალი მოსამართლეები.

ეს არის ძალიან დიდი პრობლემა. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ სამი ტალღის რეფორმას, რომელიც ჩაატარა აქამდე მთავრობამ და პარლამენტმა, შედეგი არ მოჰყოლია. ნებისმიერმა მცდელობამ, რომ კიდევ წინ წავიდეთ და რაიმე რეფორმა ჩავატაროთ, გადაიწია დაახლოებით ათი წლით!

***– არასამთავრობო სექტორი თავიდან წინააღმდეგი გამოდიოდა, რომ ხელისუფლებას წმენდა დაეწყო სასამართლო სისტემაში.***

– გეთანხმებით. ჩვენ ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავით, მათ შორის 2012 წლის შემდეგ რადიკალური რეფორმების. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მას შემდეგ, რაც ვადა გაუვათ, შეიცვლება კანონმდებლობა და დანიშვნის წესიც უფრო გამჭვირვალე გახდება, ჩვენ შესაძლებლობა გვექნება, ეს ადამიანები მოვიცილოთ და ჩავანაცვლოთ ახალი მოსამართლეებით.

დღეს ამის შესაძლებლობა ჩვენ აღარ გვაქვს. აქედან გამომდინარე, ცხადია, მოლოდინი იმისა, რომ ნდობა გაიზარდოს სასამართლოს მიმართ, არის არარეალისტური.

***– რატომ არის არარეალისტური? აღარაფერი ეშველება ამ სისტემას?***

– იმიტომ, რომ ეს ადამიანები არიან იქ. ისინი საუბრობენ სასამართლოს სახელით და მათ ხელშია ყველა სხვა მოსამართლის დანიშვნა. ცხადია, ისინი ნიშნავენ იმ ადამიანებს, რომლებიც იქნებიან ლოიალურები მათ მიმართ. ჩვენ ამ ფონზე ვისმენთ წარმოუდგენელ განცხადებებს საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან.

***– რას გულისხმობთ წარმოუდგენელში?***

– მათ არ უჩნდებათ არც პროტესტი, არც კითხვები იმასთან დაკავშირებით, რატომ იმყოფებიან დღესაც ეს პირები სასამართლო სისტემაში. პარლამენტის მიერ დანიშნული წევრები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ასევე მონაწილეობენ ამ ფარსში, ხელს უწევენ ამ მოსამართლეებს და ამწესებენ უვადოდ.

ამ ყველაფერში პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მმართველმა გუნდმა! ეს არ არის ლოკალური სასამართლოს პრობლემა. ეს არის ყველა ჩვენგანის პრობლემა და ეს არის მმართველი გუნდის პრობლემა. ჩვენ ველოდებით უახლოეს პერიოდში, რომ დაიწყება დანიშვნები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, წევრებს გასდით ვადა და ამ პროცესის წინ ჩვენ ვხედავთ ასეთ გაუმჭვირვალე პროცესსა და კონკრეტული კლანის გამაგრებას სასამართლო სისტემაში.



***– რის მიღწევას ცდილობს ხელისუფლება?***

– ხელისუფლებამ ძალიან კარგად მოირგო ის სისტემა, რომელიც ჰქონდა წინა ხელისუფლებას. 2012 წლის შემდეგ ჩვეულებრივ და რიგით საქმეებზე გაუმჯობესება გვაქვს, მაგრამ ეს არის დროებითი, იმიტომ, რომ თუ ჩვენ სიღრმისეულ ცვლილებებს არ გავატარებთ სასამართლო სისტემაში და თუ მოსამართლეები დამოუკიდებლები არ იქნებიან, ამ კლანის მეშვეობით მივიღებთ ისეთივე სისტემას, როგორიც გვქონდა 2012 წლამდე.

დღეს პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებში სახელმწიფო ერევა. დღეს სასამართლო ნამდვილად არ არის დამოუკიდებელი. ამ მძლავრი კლანის მეშვეობით კი, რომლებიც ახლა დაწინაურდნენ, ჩვენ მივიღებთ ზუსტად ისეთ სასამართლო სისტემას, როგორიც გვქონდა. რადგან ყველას კარგად გვახსოვს, რა საშინელება იყო ის, ამიტომ ვართ ზუსტად ასეთი კრიტიკულები და მძაფრები.

***– რატომ გახდა ხელისუფლებისთვის ასეთი კომფორტული ეს ოდიოზური ფიგურები და მათთან თანამშრომლობა?***

– იმიტომ, რომ ისინი თავიანთი წარსულით არიან ძალიან მარტივად მართულები. განსაკუთრებით სასამართლოს თავმჯდომარეებს ჰქონდათ ძალიან დიდი შიში. ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ ყველას დააპატიმრებდნენ, მაგრამ ნახეს, რომ ხელისუფლებასთან საქმის დალაგება ყოფილა ძალიან მარტივი და, თუ ერთგულები გახდებიან კონკრეტული გუნდის, რომელსაც აქვს კონტაქტები სახელისუფლებო ფრთასთან, ისინი იქნებიან დაცულები.

ხელისუფლებისთვისაც ამ ადამიანებთან თანამშრომლობა არის კომფორტული, რადგან მათი გამოყენებით შეუძლიათ მარტივად მართონ ეს მოსამართლეები. ამიტომ ხელი ხელს ბანსო, ზუსტად ამ სიტუაციას მოერგნენ. მათ ჰქონდათ გაკეთებული ძალიან ბევრი ცუდი რამ და ახლა მათი მართვა ძალიან მარტივია.

***– ცერცვაძის გადადგომას საერთო გეგმის ნაწილი უწოდეთ. რა გეგმაზეა საუბარი?***

– ცერცვაძის ადგილას ძალიან სწრაფად უნდა დანიშნულიყო ჩინჩალაძე. ამაზე საუბრობდა აბსოლუტურად ყველა და ეს ჩვენთვის ახალი არ იყო. ამიტომ იმის, რომ ცერცვაძე გაუფრთხილდა სასამართლოს რეპუტაციას, ნამდვილად არავის სჯერა, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში ის იყო სასამართლოში და მე მახსოვს, როგორ ელაპარაკებოდა ის საზოგადოებასა და სამოქალაქო სექტორს, როდესაც ჩვენ ვითხოვდით სასამართლოს გამჭვირვალობას ჯერ კიდევ 2012 წლამდე.

ამიტომ ამ ადამიანს არანაირი სენტიმენტები არ გააჩნია სასამართლოს რეპუტაციასთან დაკავშირებით. მას დაავალეს და ის წავიდა იმისთვის, რომ მისი ადგილი დაეკავებინა ჩინჩალაძეს, რომელიც დღეს სასამართლო სისტემის რეალური მმართველია, რომელსაც აქვს კავშირები მმართველ პარტიასთან და ზუსტად მისი მეშვეობით ხდება სასამართლო სისტემის მართვა.

***– ჩავარდა სასამართლო რეფორმა?***

– იქ არის კონკრეტული კანონები და კონკრეტული დებულებები, რომლებიც არის კარგი, მაგრამ მათ არავინ ასრულებს.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, კანონში გიწერია, რომ კანდიდატი უნდა იყოს შესაბამისი გამოცდილებისა და რეპუტაციის და ნიშნავ ჩინჩალაძეს, რომელსაც არც რეპუტაცია აქვს კარგი და არც გამოცდილება აქვს შესაბამისი, იმიტომ რომ ის სასამართლოში არაფერს განიხილავდა, როდესაც იყო მოსამართლე 10 წლის განმავლობაში. ასევე ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უნდა დანიშნოს სასამართლოს თავმჯდომარეები იუსტიციის საბჭომ და არა – თავად მოსამართლეებმა. ამას აკეთებენ იმისთვის, რომ ის ადამიანები დანიშნონ თავმჯდომარეებად, რომლებიც მათთვის მისაღებია.

***– საუბრისას აღნიშნეთ, რომ ხელისუფლება გარკვეული პროცესების მიმართ დიდ ინტერესს იჩენს. რას იტყვით დეკანოზ მამალაძის პროცესზე, რომელიც მთლიანად დახურულია და რომელზეც სახალხო დამცველიც კი არ დაუშვეს?***

– იქ, სადაც იკვეთება პროკურატურის ინტერესი, სასამართლო მის დაკვეთას ასრულებს. ვერაფრით ვიგებ, რატომ უნდა დაიხუროს მამალაძის საქმე. თუ არის საუბარი კონკრეტულ, პირად ინფორმაციაზე, შეიძლება რაღაც ნაწილი დახურო, მაგრამ ის, რომ მთლიანად დახურო სხდომა, წარმოუდგენელია. სერიოზული კითხვები ჩნდება გამოძიების მიმართ, იყო თუ არა თავიდანვე ეს ინფორმაცია სწორი. ამ ფონზე პროცესის დახურვა ნიშნავს იმას, რომ პროკურატურას სურს, კონკრეტული ინფორმაცია დამალოს. მას ამაში მხარს უბამს სასამართლოც, რაც ძალიან დიდი პრობლემაა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „მუხთარლის გატაცება საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია“

## ზვიად კუპრავა: „შს მინისტრმა აღიარა, რომ სახელმწიფო აღარ ვართ“

შორენა მარსაგიშვილი

რა შედეგებს მოუტანს საქართველოს ჟურნალისტ აფგან მუხთარლის მოტაცება, რა აღიარა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რა საფრთხეები ელოდება საქართველოს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

**ზვიად კუპრავა:**

– აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის მოტაცებამ ძალიან ცუდ დღეში ჩააგდო როგორც ჩვენი სამართალდამცავები, ასევე სპეცსამსახურები. ოჯახი ღიად აცხადებს, რომ ქართულმა და აზერბაიჯანულმა სპეცსამსახურებმა ერთობლივად მოიტაცეს ეს ადამიანი და გაიყვანეს ჩვენი ქვეყნიდან.

ეს იყო თავიდან ბოლომდე უკანონო სპეცოპერაცია. ვარაუდის დონეზე იმის თქმაც შეგვიძლია, რომ ეს ოპერაცია აზერბაიჯანულმა სპეცსამსახურებმა დამოუკიდებლად ჩაატარეს, რაც კიდევ უფრო შემაშფოთებელი იქნება. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ბაქო ჩვენს სახელმწიფოს პატივს არ სცემს. იმაზე დიდი შეურაცხყოფა არ არსებობს, როცა სხვა ქვეყანა შენს ტერიტორიაზე შეუთანხმებლად ატარებს სპეცოპერაციას.

აზერბაიჯანი ჩვენი ქვეყნის მიმართ დადებითად არის განწყობილი და ასეთ რამეს არ გააკეთებდა.

***– და ამიტომ უნდა გამოვრიცხოთ ეს ვერსია?***

– ეს რუსეთს რომ ეხებოდეს, ამ ვერსიას არ გამოვრიცხავდი. ისინი საქართველოს სუვერენიტეტს პატივს არ სცემენ. მოსკოვისგან განსხვავებით, აზერბაიჯანი ჩვენს სუვერენიტეტს პატივს სცემს, ვართ სტრატეგიული პარტნიორები და ისინი ასეთ რამეს ჩვენს სახელმწიფოს არ აკადრებდნენ.

ამიტომ მგონია, რომ ეს ღონისძიება ქართულმა და აზერბაიჯანულმა სპეცსამსახურებმა ერთობლივად განახორციელეს. ეს საქართველოსთვის არანაკლებ დამაზიანებელია. ამის შემდეგ საქართველოში ჩამოსვლისგან ყველა შეიკავებს თავს, მათ შორის ინვესტორებიც. აფგან მუხთარლის მოტაცება ყველასთვის, მათ შორის ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისთვისაც, ერთგვარი მესიჯია. ჩვენი სახელმწიფოს მიმართ ნდობა იკარგება.



ამ ფაქტს დიდი საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა. დიპლომატიური კორპუსი შოკშია. ისინი ოფიციალური თბილისისგან პასუხს ითხოვენ. ხელისუფლებას დამაჯერებელი პასუხის გაცემა ძალიან გაუჭირდება.

***– ამ დღეებში ხელისუფლებამ უკვე რამდენიმე ვერსია შემოგვთავაზა. ამ ვერსიებზე რას ფიქრობთ?***

– არცერთი ვერსია დამაჯერებელი არ არის, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება კი შოკისმომგვრელი და საგანგაშოა. გიორგი მღებრიშვილმა პირდაპირ გვითხრა, რომ ჩვენ სახელმწიფო აღარ ვართ.

მან საზოგადოებას აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გაუჩინარების მესამე ვერსია შესთავაზა – მუხთარლი საზღვარზე გადაიპარა და ამ დროს დააკავესო.

მინისტრის განცხადებით, საქართველოს საზღვრები დაუცველია. რას ნიშნავს დაუცველია, სად არის სასაზღვრო პოლიცია?! საზღვარზე გადაპარვა ასეთი იოლი არ არის.

***– თან, როგორც ირკვევა, ამ ადამიანს თან პასპორტი არ ჰქონდა.***

– პასპორტის ამბავი აჩენს მთავარ ეჭვებს. პასპორტი რომ თან ჰქონოდა, მაშინ კიდევ მოიფიქრებდნენ რაიმე დამაჯერებელს. პასპორტიც რომ ჰქონოდა თან, ასე მარტივი არ არის საზღვარზე გადაპარვა. მინისტრი რომ გვეუბნება, საზღვარი დიდია და ვერ გავაკონტროლებთ ყველაფერსო, ეგრე არ არის.

საზღვრის დაცვას თავისი წესები აქვს. კონკრეტულ მესაზღვრეებს ჩაბარებული აქვთ საზღვრის კონკრეტული მონაკვეთები და მათ 24-საათიან რეჟიმში იცავენ.

ასეთი რამე კახა თარგამაძესაც არ უკადრებია სახელმწიფოსთვის. არადა, მისი მინისტრობის პერიოდში მართლაც სერიოზული პრობლემები იყო საზღვრის დაცვის კუთხით.

როდესაც მინისტრი აცხადებს, რომ საზღვარი დაცული არ არის, ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო აღარ არსებობს. ჩვენი მოქალაქეებიც დაუცველები არიან. გაუკონტროლებელი საზღვარი იმას ნიშნავს, რომ აქ უპრობლემოდ შემოვა ბატონი თალიბანი (როგორც ლექსო ჭიკაიძე იტყოდა) და ქალბატონი ისლამური სახელმწიფო.

დღე არ გავა, ხელისუფლება რაიმე სკანდალში არ გაეხვიონ. როცა არ შეუძლიათ ქვეყნის მართვა, ხომ შეიძლება წავიდნენ, თავადაც დაისვენონ და ქვეყანაც დაასვენონ.

***– თქვენ მიიჩნევთ, რომ ეს იყო ერთობლივი სპეცოპერაცია. ვერ მიხვდა საქართველოს ხელისუფლება, რომ ამას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვებოდა?***

– ვერ გათვალეს. რომელ გათვლაზეა საუბარი, როცა პირდაპირ გვეუბნება, სახელმწიფო არა ვართო. როცა გეუბნებიან, საზღვარი არა გვაქვს დაცულიო, იქ ვერც მოსალოდნელ შედეგებს გათვლიდნენ.

***– თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ მღებრიშვილის განცხადება. თუ მართლა დაუცველია საზღვარი, არ უნდა ეთქვა მინისტრს? იქნებ ეს ადამიანი გულწრფელია?***

– შეიძლება გულწრფელია და გულწრფელად ამბობს. და თუ გულწრფელად იცის ეს ამბავი, მაშინ რაღას უზის საზღვრის დაცვის სამსახურის უფროსი, ვერ შეცვლის? მოხსნას და ისეთი დანიშნოს, ვისაც საზღვრის გაკონტროლება შეუძლია. საზღვარი თუ დაუცველია, მაშინ რატომ ვაფინანსებთ ამ უწყებას? მის შენახვაზე მილიონობით ლარი იხარჯება. ავდგეთ და ეს ფული პენსიონერებს დავურიგოთ.

***– მოდით, ისევ მუხთარლის გატაცებას დავუბრუნდეთ. გამორიცხავთ, რომ ეს სპეცოპერაცია დაბალი დონის ჩინოსნებთან შეთანხმდა?***

– დაბალ დონეზე ამის გაკეთება გამორიცხულია. ყველამ იცოდა, რომ ამას საერთაშორისო სკანდალი მოჰყვებოდა. ასეთ რამეს თავის თავზე ვერავინ აიღებდა. ეს თუ დაბალ დონეზე გადაწყდა, კიდევ უფრო უარესია. მაღალი დონის ჩინოსნები კიდევ უარესს გააკეთებენ.

***– მომხდარის გამო რომელი უწყების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, სუსის თუ შსს-ს?***

– პასუხი ორივემ უნდა აგოს. მოპარვით მუხთარლი სუს-მა მოიპარა. საზღვარზე შსს-მ გაატარა. შსს საქმის კურსში რომ არ ყოფილიყო, რომელიღაც მესაზღვრე იმას მაინც იკითხავდა, ეს უპასპორტო კაცი სად მიგყავთო.

***– ამ სკანდალს რომელიმე მაღალჩინოსანი თუ შეეწირება?***

– შეიძლება ვიღაც შეეწიროს, თუმცა მხოლოდ ერთი თანამდებობის პირის შეცვლა საქმეს არ უშველის. აქ სისტემური ცვლილებებია საჭირო. ბევრჯერ შეიცვალნენ მაღალჩინოსნები, მაგრამ სიტუაცია უცვლელია.

ვითარება არც უწყებებისთვის სახელის შეცვლას მოჰყვა. კუდი სუსად გადაკეთდა, მაგრამ ამ სამსახურის მიმართ იგივე პრეტენზიები ისმის, რაც ძველ დროში. რაღაცას კუდიც აშავებდა, მაგრამ საქართველოდან არავინ მოუტაცებიათ და უცხო ქვეყნისთვის არ გადაუციათ.

და საერთოდ, ადამიანების მოტაცების პრაქტიკა საქართველოში 15 წლის წინ დასრულდა. ბოლო ასეთი გახმაურებული ფაქტი პიტერ შოუს გატაცება იყო. აზერბაიჯანელი ჟურნალისტის გატაცება საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია. ვენესუელიდან დაწყებული, კონგოთი დამთავრებული, სულ ამაზეა საუბარი.

***– ვენესუელა და კონგო მართლა განიხილავენ ამ საკითხს თუ ისე თქვით?***

– სრული სერიოზულობით ვამბობ ამას. ოპოზიციონერი ჟურნალისტის მოტაცება და სხვა ქვეყნისთვის გადაცემა ასე იოლად არ ჩაივლის. ეს ადამიანი საქართველოში სრულიად ლეგალურად ცხოვრობდა, ახლა კი აზერბაიჯანშია და, როგორც მისი ოჯახი ამბობს, სასტიკად არის ნაცემი.

როგორც უკვე გითხარით, ეს ქმედება ყველასთვის მკაფიო მესიჯია, რომ საქართველოს სახელმწიფოს ნდობა არ შეიძლება.

# საპატრიარქომ ედიშერ ქარჩავას ყვითელი ბარათი აუფრიალა

## მეუფე პეტრეს საკითხს წმინდა სინოდი განიხილავს

შორენა მარსაგიშვილი

საპატრიარქოს იურისტ ედიშერ ქარჩავას ადვოკატ მიხეილ რამიშვილის წინასწარმეტყველება აუხდა. რამიშვილმა ათიოდე დღის წინ ქარჩავას მედიით შეუთვალა, ვინც დროს გაასწრებს, წააგებსო.

რამიშვილის წინასწარმეტყველება ქარჩავას სკანდალურ განცხადებას მოჰყვა, სადაც ის ამტკიცებდა, რომ მამა გიორგი მამალაძე 50 მილიონის გათეთრებას აპირებდა. ამის საპასუხოდ ადვოკატებმა მთელი რიგი მინდობილობები წარმოადგინეს, საიდანაც გამოჩნდა, რომ თანხა საპატრიარქოს კლინიკის რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა და ამის შესახებ პატრიარქმაც იცოდა.

ედიშერ ქარჩავა ამის შემდეგაც არ მოეშვა სკანდალურ განცხადებებს. მან იერიში მეუფე პეტრეზე მიიტანა, ამბობდა, რომ მას აქვს მტკიცებულებები, საიდანაც ჩანს, რომ მეუფე პატრიარქის ტახტის დაქვრივებას აპირებდა.

ქარჩავას საპასუხოდ არანაკლებ სკანდალური განცხადებები გააკეთა მეუფე პეტრემ. ამის გამო მას სინოდზე მოსთხოვენ პასუხს, რადგან 7 მარტს გამართულ წმინდა სინოდის სხდომაზე მას საჯარო განცხადებების გაკეთებისგან თავის შეკავება მოსთხოვეს.

მეუფე პეტრეს საკითხი რომ წმინდა სინოდის სხდომაზე განხილული იქნება, ეს ინფორმაცია რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტმა მეუფე იოანემ დაადასტურა.



მისი თქმით, ჭყონდიდის მიტროპოლიტის, მეუფე პეტრე ცაავას საკითხს წმინდა სინოდის სხდომაზე განიხილავენ და ეს მაშინ მოხდება, როცა მას პატრიარქი დანიშნავს.

მეუფე იოანე ამბობს, რომ ჭყონდიდელ მიტროპოლიტს კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს.

– რაც მექნება კითხვები, მეუფე პეტრეს მე თვითონ შევეკითხები პირადად, – ამბობს რუსთავისა და მარნეულის მიტროპოლიტი.

მან ედიშერ ქარჩავას განცხადებებზეც გააკეთა კომენტარი.

– მე მისთვის არ დამივალებია, რომ ეგ ეთქვა და სხვის მაგივრად პასუხი როგორ ვაგო? მან აგოს პასუხი თავის ქმედებაზე, – განაცხადა მეუფემ იოანემ.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტისა და ედიშერ ქარჩავას განცხადებებთან დაკავშირებით გუშინ, 1 ივნისს, საპატრიარქომ საგანგებო განცხადება გაავრცელა. იქ პირდაპირ წერია, რომ იურისტის განცხადებები საპატრიარქოსთან არ იყო შეთანხმებული.

– მის მიერ განმარტებული მიზეზი ასეთი ქმედებისა არის სერიოზული, მაგრამ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება და საჯარო სივრცეში პირადი ინიციატივით წარმოჩენა არასწორია.

ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სასულიერო პირი კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევასა და წმინდა სინოდის მოწოდებებს არღვევს და ნებართვის გარეშე სატელევიზიო გამოსვლებს არ ერიდება, ცალკე განსჯის საგანია, მაგრამ ასეთი ქცევა გამამართლებელი არ არის არავისთვის, მათ შორის, არც ბატონი ედიშერისთვის, რის გამოც იგი იქნა გაფრთხილებული. მოვუწოდებთ ყველას, პირადი ინიციატივებისაგან შეიკავონ თავი, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ამ განცხადების შემდეგ ქარჩავამ მედიასთან კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა. ერთი დღით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მან პატრიარქთან ცადა შეხვედრა, მაგრამ ილია II-მ ის არ მიიღო.

# ირაკლი კობახიძე: „თბილისის მერობის კანდიდატი ჯერ შერჩეული არ გვყავს“

შორენა მარსაგიშვილი

ხელისუფლება თბილისის მერის კანდიდატის შერჩევას ისევ ვერ ახერხებს. ნახევრადოფიციალური ინფორმაციით, ეს კახა კალაძე იქნება, მაგრამ ოფიციალური განცხადების გაკეთებას ყველა ერიდება. საბოლოო სიტყვას ივანიშვილისგან ელოდებიან.

30 მაისს, საღამოს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კახა კალაძემ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაწერა. მისმა პრესსამსახურმა ეს ინფორმაცია მალევე უარყო.

სახელისუფლებო კულუარებში კი ამბობენ, რომ მას განცხადება მართლა დაწერილი აქვს, გაოფიციალურებას კი ივანიშვილის თანხმობის შემდეგ აპირებს.

„ოცნების“ კულუარებში კალაძის დამუხრუჭებას ირაკლი ღარიბაშვილის ფაქტორს უკავშირებენ. მედიაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თბილისის მერად შესაძლოა კენჭი ყოფილმა პრემიერმაც იყაროს.

სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, რომ ამ თემაზე მან ბიძინა ივანიშვილთან ისაუბრა. პირველმა მეოცნებემ მას უთხრა, რომ შეეძლო სხვა პარტიიდან ეყარა კენჭი. „ოცნებაში“ არ გამორიცხავენ, რომ ივანიშვილმა ღარიბაშვილს დაუჭიროს მხარი.

ამის გამო „ოცნება“ კანდიდატურას ოფიციალურად ვერ ასახელებს, არადა, როგორც ამბობენ, პარტიამ მერობის კანდიდატად კალაძე შეარჩია.

„ოცნებაში“ ამ მხრივ საოცნებოდ რომ არ არის საქმე, ამაზე პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებაც მეტყველებს.

ირაკლი კობახიძის თქმით, თბილისის მერობის კანდიდატურასთან დაკავშირებით ჯერჯერობით მმართველ გუნდში ჩამოყალიბებული პოზიცია არ არის.



– ჯერჯერობით კანდიდატურასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ არსებობს. იყო გარკვეული წინასწარი ინფორმაცია გაჟღერებული, თუმცა ჩვენ გვაქვს დრო იმისთვის, რომ ოფიციალურად წარვადგინოთ ჩვენი კანდიდატი. ეს მოხდება მოგვიანებით და ამის შემდეგ გვეცოდინება, თუ ვინ იქნება „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი.

ჩვენ არაფერს გამოვრიცხავთ. ეს ინფორმაცია გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის მას შემდეგ, რაც კანდიდატი ოფიციალურად იქნება დასახელებული, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# ლევან ალაფიშვილი: „ვერ გავიგე, რა ნიშნით აჯობა შოთა გეწაძემ კოტე კორკელიას“

## „სტრასბურისთვის მთავარია არა პერსონალიები, არამედ პროცედურები“

ნათია ხურცილავა



იურისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენ მოსამართლეთა კანდიდატებზე საუბრობს, რომლებიც მთავრობამ უკვე შეარჩია.

***– ბატონო ლევან, კონკურსის შედეგად ევროპის სასამართლოში შერჩეული 5 კანდიდატიდან მთავრობამ ლადო ჭანტურიას, სოფო ჯაფარიძისა და შოთა გეწაძის კანდიდატურა წარადგინა. წინა კანდიდატები ევროპულმა სასამართლომ ჩააგდო. ახლა როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?***

– ამ კონკურსის წინარე პერიოდი როგორ სამარცხვინოდ განვითარდა ჩვენი სახელმწიფოსთვის, ყველას კარგად ახსოვს. ეს იყო მართლაც უპრეცედენტო ფაქტი. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ გვითხრა, ამ გზითა და ამ მეთოდებით შერჩეული კანდიდატები ჩვენთვის მიუღებელიაო. ამიტომ საჭირო გახდა კონკურსის ხელახლა გამოცხადება და ხელახლა კანდიდატების შერჩევა.

***– ყველაზე მისაღები კანდიდატურა ამ სამიდან ვინ შეიძლება იყოს ევროპული სასამართლოსთვის?***

– პერსონალიებზე არ ვისაუბრებ, რადგან აქ უფრო მნიშვნელოვანია პროცედურები. წინა შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ სწორედ პროცედურები დაუწუნა ხელისუფლებას. ევროპულ ასპარეზზე ეს იყო პირველი სამარცხვინო მარცხი. რეალურად ეს პროცესი ნაკლებად იყო მკაფიო და გამჭვირვალე.

***– რატომ? არასამთავრობო სექტორი იყო წარმოდგენილი, ასევე – ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც ძალიან კრიტიკულია ხელისუფლების პოზიციების მიმართ.***

– ხაზგასმით ვსაუბრობ კრიტერიუმებზე, რომლებიც ბუნდოვანია. როდესაც მკაფიო კრიტერიუმებზე ვსაუბრობ, აქვე ვგულისხმობ, რომ არ უნდა დარჩეს სუბიექტური გადაწყვეტილებების ადგილი. თუკი ადგილი რჩება სუბიექტური გადაწყვეტილებებისთვის, მაშინ ადგილი რჩება პოლიტიკური მოტივაციისთვის, ეს არის სამწუხარო. უშუალოდ კომისიის წევრებისგან ვიცი, რომ კვლავ იყო სუბიექტური გადაწყვეტილებები.

***– კარგი კანდიდატები კონკურსს მიღმა დარჩნენ? ვისზე გწყდებათ გული ყველაზე მეტად?***

– ჩემთვის ამოუხსნელია, რომელი კრიტერიუმებით მიიღო დაბალი მაჩვენებელი კოტე კორკელიამ?! რა დაუწუნეს მას, სამართლის ცოდნა, ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობის გამოცდილება, ენების ცოდნა?! შეიძლება ვიღაცისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა ქვეყნის სამსახური, არამედ პარტიისთვის სამსახურის გაწევა.

გამჭვირვალე პროცედურები, ჯანსაღი კრიტერიუმები კვლავ პრობლემად რჩება. ეს ნამდვილად არის გულდასაწყვეტი. იმ სამარცხვინო ფაქტის შემდეგ, როდესაც ჩვენი ვერცერთი კანდიდატი ვერ გავიდა და უარი გვეთქვა, ეს პროცედურები ნამდვილად უნდა გამოსწორებულიყო.

რა ნიშნით გაკეთდა არჩევანი, მაგალითად, კოტე კორკელიასა და შოთა გეწაძეს შორის გეწაძის სასარგებლოდ?! ეს კითხვა ნამდვილად მაქვს. რა ნიშნით შეირჩა შოთა გეწაძე? იმ ნიშნით ხომ არა, რომ მოქმედი მოსამართლეა და უფრო მეტიც, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია? ეს ხომ არ არის კრიტერიუმი სტრასბურის მოსამართლეობისთვის?

***– სტრასბურის სასამართლოში სამუშაო ენები არის ფრანგული ან ინგლისური. ამბობენ, რომ შერჩეულმა კანდიდატებმა არც ისე კარგად იციან ეს ენები. ეს შექმნის პრობლემას?***

– რასაკვირველია, ფრანგულისა და ინგლისური ენის ცოდნა არის ერთ-ერთი მკაფიო, სავალდებულო მოთხოვნა. სტრასბურში ყველა კანდიდატი სწორედ ამ ენებზე გაივლის გასაუბრებას და აქ საუბარია არა საყველპურო ფრანგულსა და ინგლისურზე, არამედ ეს კანდიდატები სამართლის სპეციალისტებთან გაივლიან გასაუბრებას სწორედ ამ ენებზე.

***– კანდიდატებს ისევ დაგვიწუნებენ?***

– სტრასბური პერსონალიებზე მეტად ყურადღებას გამჭვირვალე, ღია, დემოკრატიულ პროცედურებს აქცევს. თუ ხელისუფლება ჩახედავდა სტრასბურის სასამართლოს წინა რეკომენდაციას, რა გახდა კანდიდატების ჩავარდნის მიზეზი, მიხვდებოდა და ეს მისთვის ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო.

პოზიტიური მოლოდინები არ მაქვს, მაგრამ გამიხარდება, თუ შევცდები. დადებითი მოლოდინი არ მაქვს იმიტომ, რომ იმ სამარცხვინო ჩავარდნას დაემატა რუსთავი 2-ის საქმის უპრეცედენტო გადაწყვეტილება, რომელიც სტრასბურის სასამართლომ მიიღო.

***– კვლავ არ გამორიცხავთ კითხვის ნიშნების გაჩენას?***

– რა თქმა უნდა, არა, რადგან ეს არის ის ადგილი, სადაც ყველაზე დიდი ყურადღება სწორედ პროცედურების დემოკრატიულად ჩატარებას ექცევა. თუკი მათ ექნებათ შესაბამისი პრეტენზიები, კვლავ მიგვითითებენ და გვეტყვიან, ეს არ იყო სწორად, დემოკრატიული სტანდარტის დაცვით გაკეთებულიო და ა.შ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში როდესაც გადაინაცვლებს პროცესი, იქ უკვე პოლიტიკაც ჩაერთვება.

***– კულუარებში ამბობენ, რომ ხელისუფლებისთვის ყველაზე მისაღები კანდიდატი ლადო ჭანტურიაა. რამდენად შეძლებს ხელისუფლება სწორედ მის ლობირებას?***

– ვერ გეტყვით, თუმცა ჩემთვის მთავარი პრობლემა არა პერსონებშია, არამედ პროცედურებში, კრიტერიუმებში, რომლებიც არ არის შემუშავებული, დადგენილი.

# დიპლომატიურმა კორპუსმა ძალოვნებისგან მუხთარლის საქმეზე განმარტებები მიიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროში აზერბაიჯანელი ჟურნალისტისა და აქტივისტის აფგან მუხთარლის შესახებ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიული კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა.

როგორც შსს-ის სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა დათო ნიკოლეიშვილმა შეხვედრის შემდეგ განაცხადა, უწყებამ დიპლომატებს მუხთარლის საქმეზე არსებული შუალედური ინფორმაცია მიაწოდა.

ნიკოლეიშვილის თქმით, აჟიოტაჟი, თითქოს სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ მუხთარლის აზერბაიჯანში გადაყვანის პროცესში, ემსახურება სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებას.

რაც შეეხება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის მესაზღვრის გვერდის ავლით გადაკვეთის ვერსიას, ნიკოლეიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს საზღვარი მაქსიმალურადაა დაცული დასავლური სტანდარტების შესაბამისად, თუმცა ეს არ გამორიცხავს მისი უკანონოდ გადაკვეთის შესაძლებლობას.

– აზერბაიჯანის მოქალაქის აფგან მუხთარლის საქმეზე საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე და საერთაშორისო თანამეგობრობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენ შევხვდით დიპლომატიურ კორპუსს, რომელთაც გამოძიებასთან დაკავშირებით მივაწოდეთ შუალედური ინფორმაცია. გამოძიება აქტიურ ფაზაშია. მიმდინარეობს ყველა ის მოქმედება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

მინდა ვთქვა, რომ ის აჟიოტაჟი, რომელიც გამოწვეულია საზოგადოებაში, სულ მცირე უტრირებულია. ჯერ ძალიან ადრეა ისეთი უაპელაციო განცხადებების გაკეთება, რომ საქართველოში რომელიმე ოფიციალურმა ჯგუფმა გაიტაცა მოქალაქე. ეს მხოლოდ ემსახურება იმას, რომ მოხდეს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტება. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოს საზღვარი დაცულია მაქსიმალურად დასავლური სტანდარტების თანახმად. ეს სტანდარტები პოლიციურ პატრულირებას მოიცავს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თეორიულად საზღვრის უკანონო გადაკვეთის რისკები არ არსებობს. ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს ალბათობა, რომ ადამიანმა უკანონოდ გადაკვეთოს ე.წ. მწვანე საზღვარი, – განუცხადა ნიკოლეიშვილმა ჟურნალისტებს.

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა, საათზე მეტხანს გაგრძელდა. მას ესწრებოდნენ შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილეები იოსებ გოგაშვილი და ალექსანდრე ტაბატაძე, ასევე აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ელჩი ჰაიკე რენატე ფეიჩი, შვედეთის სამეფოს ელჩი მარტინა ქვიკი, იტალიის რესპუბლიკის ატაშე მასიმო მოსონი, ლიტვის, უნგრეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ესტონეთის, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, სლოვაკეთისა და სხვა ქვეყნების საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

**მედიანიუსი**

# გივი თარგამაძე: „აფგან მუხთარლის აზერბაიჯანში გადაყვანა უჩა მამაცაშვილის პირადი ინტერესი იყო“

„ევროპული საქართველოს“ წევრი გივი თარგამაძე აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმეზე განცხადებას აკეთებს.



თარგამაძე მიიჩნევს, რომ ჟურნალისტის გატაცება საქართველოს ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის პირადი ინტერესი იყო.

– უჩა მამაცაშვილის პარტნიორმა, აზერბაიჯანული მხრიდან, რომელსაც ბოლო დროს აქვს პრობლემები საერთაშორისო სამართალთან და ემუქრება დაკავებული პოზიციებიდან გაწევა აზერბაიჯანში, ჩათვალა, რომ ასეთი საქციელით გაუკეთებდა საჩუქარს საკუთარ ხელმძღვანელობას და სთხოვა უჩა მამაცაშვილს ქართველი ძალოვნების დახმარება იმაში, რომ ეს ჟურნალისტი რამენაირად გადაეყვანათ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე.

უჩა მამაცაშვილმა ნდობით აღჭურვილი პირი შეახვედრა სუს-ის უფროსს, ბატონ ვახტანგ გომელაურს, თავის მხრივ, გომელაურმა დაისწრო შეხვედრაზე მისი მოადგილე სოსო გოგაშვილი და საბოლოოდ ხელმძღვანელობა ამ ოპერაციაზე ჩაბარდა სოსო გოგაშვილს. უშუალოდ ოპერაცია შეასრულა სუს-ის სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელმა, ბატონმა ზურა ხარაზიშვილმა, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

**ნიუპოსტი**

# სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი გაიზარდა

გასულ წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 2015 წელთან შედარებით გაიზარდა.



სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, წინა წელს ეს მაჩვენებელი 21,3% იყო, მაშინ როცა 2015 წელს 20,8% იყო.

ამასთან, საქსტატის ცნობით, 2016 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილი გაიზარდა როგორც სოფელში, ისე ქალაქში. კერძოდ, ეს მაჩვენებელი გასულ წელს სოფელში – 25,5%, ქალაქში კი 16,9% იყო.

# რუსთავში ხანძრის შედეგად 67 წლის ქალი დაიღუპა

რუსთავში ხანძრის შედეგად 67 წლის ქალი დაიღუპა. ადგილზე მობილიზებული იყო სასწრაფო დახმარებისა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟები.



ხანძრის დროს ქალი სახლში მარტო იმყოფებოდა. შემთხვევის ზუსტი მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, მეზობლების ინფორმაციით, შესაძლოა ხანძარი სიგარეტის ნამწვს გამოეწვია.

მომხდარზე საქმე „სისხლის სამართლის კოდექსის“ 188-ე მუხლით აღიძრა.

# პრეზიდენტი მოსმენების კანონის განხილვაში „მეგობრის სტატუსით“ ჩართვას აპირებს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი სახალხო დამცველის მიერ საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მოსმენების კანონთან დაკავშირებით მომზადებულ სარჩელს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პროცესში „მეგობრის სტატუსით“ ჩართვას აპირებს.



– მე ამ კანონს ვეტო დავადე და ეს ვეტო, როგორც სხვა არა ერთი პოლიტიკური საკითხი, უაზრო ზარზეიმითა და დაპირისპირებით იქნა განხილული. კიდევ ერთხელ მინდა შევახსენო ყველას, რომ ვეტო არის საკითხის დახმარებისა და უკეთესი კანონის მიღების და არა პოლიტიკური დაპირისპირების საშუალება, ამ ვეტოს მოჰყვა სრულიად ზღვარგადასული ბრალდებები მისი დაძლევის კონტექსტში. ვეტოს დაძლევის შემდეგ მე დავაფიქსირე პოზიცია, რომ თუ ეს კანონი იქნება გასაჩივრებული საკონსტიტუციო სასამართლოში, მე დავეხმარები სასამართლოს მეგობრის სტატუსიდან გამომდინარე. ასეთი დოკუმენტი ფაქტობრივად, შემუშავებულია და ჩვენ, ბუნებრივია, დავეხმარებით საკონსტიტუციო სასამართლოს, რომ ე.წ. მოსმენების შესახებ კანონი, რომელიც არა ერთხელ მოექცა პოლიტიკური ყურადღების ქვეშ, მიიღონ ისეთი სტანდარტით, როგორიც ეკადრება ევროპულ სახელმწიფოს, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

# ნინო კვიტაშვილი: „სასკოლო გამოცდები უნდა გაუქმდეს“

## „მინისტრი ჯეჯელავა სირაქლემის პოზაშია“

ნონა ცაბაძე

სასკოლო გამოცდებზე მოსწავლეების დიდი რაოდენობის ჩაჭრის გამო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს, რომ გამოსაშვები გამოცდების არსებული ფორმატი გაუქმდეს.

როგორც „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის წევრმა **ნინო კვიტაშვილმა** განუცხადა, საგანგაშოა ის ფაქტი, რომ განათლების მინისტრი არაადეკვატურად აფასებს შექმნილ სიტუაციას, რაც კიდევ უფრო აზარალებს მოსწავლეს, მასწავლებელსა და მშობელს.

***— ქალბატონო ნინო, გამოდიხართ ინიციატივით, რომ გაუქმდეს გამოსაშვები გამოცდები. თქვენ რა ალტერნატივას სთავაზობთ? მინისტრმა ნაციონალების ინიციატივა უპასუხოდ არ დატოვა — ახლა გაუნათდათ გონება, სად იყვნენ მაშინ, როცა თვითონ იყვნენ ხელისუფლებაშიო. ამას რით უპასუხებთ?***

— ჩვენ ვსაუბრობთ არსებული ფორმატის გაუქმებაზე. ეს ფორმატი მოძველებულია. აქ საუბარი არ არის მარტო გამოცდებზე, ხარისხის გაუმჯობესებისთვის ნაბიჯები უნდა გადაიდგას. ყველა მიმართულება ჩამოიშალა და შეგვრჩა ეს გამოცდები, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ბავშვისთვის ყოფილიყო მამოტივირებელი, რომ იგი კარგად მომზადებულიყო გამოცდისთვის, იქცა მხოლოდ სადამსჯელო მექანიზმად.

***— რატომ ვერ აბარებენ საატესტატო გამოცდებს?***

— წარმოიდგინეთ, კლასიდან კლასში გადადიან მოსწავლეები, ყოველწლიურად ეს ბავშვები იღებდნენ დადებით შეფასებას ყველა იმ საგანში, რომელშიც უტარდებათ მე-12 კლასის ბოლოს გამოცდა. მე-12 კლასამდე მოყვანილი ბავშვები, თვითონ სკოლის მიერ კლასიდან კლასში გადაყვანილი, აღმოჩნდნენ იმ პრობლემის წინაშე, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ვერ დაძლიეს.

***— მერედა, ეს ვისი ბრალია? ფაქტია, რომ მოსწავლე მოუმზადებელი შეხვდა გამოცდებს.***

— ამაში მოსწავლის წილიც არის, რადგან ის მოუმზადებელი შეხვდა გამოცდას, მაგრამ რას სთავაზობდა სკოლა, მაგალითად, სწავლების მესამე საფეხურზე? მესამე საფეხურზე სკოლებში დასწრება არის ძალიან დაბალი და ზოგან საერთოდ არ არის. მე-10, მე-11 და მე-12 კლასებს ვგულისხმობ. ამ კლასებში ბავშვები ძირითადად ემზადებიან რეპეტიტორებთან იმ ოთხ საგანში, რომელსაც ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ, მაგრამ, გარდა ოთხი საგნისა, მათ უწევთ კიდევ ოთხი საგანი სკოლაში, რადგან გამოსაშვებზე რვა გამოცდა ბარდება. ოჯახებს არა აქვთ ის სოციალური მდგომარეობა, რომ რვავე საგანში მოამზადოს და სკოლამ ვერ უზრუნველყო, ბავშვი ისეთ დონეზე მიეყვანა გამოსაშვებ გამოცდებამდე, რომ რვავე საგანში მზად ყოფილიყო.

***— ანუ ძირითადად იჭრებიან იმ ოთხ საგანში, რაც ეროვნულზე არ სჭირდებათ და რაშიც არ ემზადებიან?***

— რა თქმა უნდა. ძირითადად ეს არის ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულებები. ყველაზე რთულად დაძლევადი ბავშვებისთვის არის ეს. საერთაშორისო კვლევებმაც სწორედ ეს დაადასტურა, რომ ჩვენი სუსტი წერტილი არის ტექნიკური და საბუნებისმეტყველო მიმართულება. რა ხდება ამ მხრივ სკოლაში? ხდება ის, რომ რეალურად ლაბორატორიები სკოლებს არა აქვთ სათანადოთ აღჭურვილი. როგორ წარმოგიდგენიათ ქიმიის გაკვეთილი რეაქტივების გარეშე?!

***— ანუ არ არის სკოლები სათანადოდ აღჭურვილი?***

— მინიმუმ ისეთი ტექნიკური აღჭურვილობა მაინც უნდა იყოს, რომ ელექტრონულად მაინც ჰქონდეს ბავშვს შესაძლებლობა, იხილოს ესა თუ ის ექსპერიმენტი, ცდა. ამისთვის მასწავლებლის კომპეტენცია უნდა იყოს ისეთი, რომ ვიზუალიზაციით მოსწავლეს ასწავლოს ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებაზე კი სამინისტრო არ ზრუნავს. მასწავლებლებს სჭირდებათ მოტივაცია.

***— რაში მდგომარეობს ეს მოტივაცია?***

— მას უნდა მიეცეს მოტივაცია ანაზღაურების სახით. მინიმუმ 1.000-1.500 ლარამდე უნდა გაიზარდოს მასწავლებლის ხელფასი. დღეს ქაღალდომანიაა სკოლებში და მასწავლებლებს მოსწავლეები გვერდზე რჩებათ. ის დრო, რომელიც მოსწავლეზე დამატებით უნდა დახარჯულიყო, იხარჯება ბიუროკრატიული და უსაგნო მიმართულებით. ძირეული ცვლილებებია საჭირო ამ სისტემაში. სკოლა უნდა იყოს ხარისხზე პასუხისმგებელი.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები კრიტიკას ნაციონალებისგან არ იღებენ, რადგან სწორედ მათ დაგვიტოვეს ეს სისტემაო. რატომ თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში არ***



***გაკეთდა ის, რაზეც დღეს ამ ხელისუფლებას მიუთითებთ?***

— ჩვენ დროს რეფორმა დაიწყო და წარმატებითაც. თავად ეროვნული გამოცდები ძალიან სერიოზული მონაპოვარი იყო, კორუფციისგან, ნეპოტიზმისგან, ფაქტობრივად, გათავისუფლდა საგანმანათლებლო სივრცე, ასევე შემოვიდა სერტიფიცირება და ამ დროს მასწავლებელი უფრო პასუხისმგებლობით მოეკიდა თვითგანვითარების პროცესს. რაც ჩვენ გავაკეთეთ, იმის მერე რა შეიცვალა?!

***— ამ სიტუაციაში ყველამ პედაგოგისკენ გაიშვირა ხელი. რამდენად არის ამ პროცესში დამნაშავე მხოლოდ პედაგოგი?***

— ეს ძალიან არასწორი მიდგომაა. რატომ ხდება მასწავლებლის სახელის დისკრედიტაცია?! 2012 წელს 100 მოსწავლიდან მხოლოდ 5 ბავშვი ჩაიჭრა გამოცდებზე. დღესაც ხომ იგივე მასწავლებლები არიან სკოლებში?! ძირეულად ხომ არ შეცვლილა მასწავლებელთა კორპუსი? თუ 2012 წელს მხოლოდ 5% ჩაიჭრა, წელს რატომ გადააჭარბა 20%-ს?! შარშან 21% იყო და წელს უკვე 25%-ია ანუ წელს ყოველი მეოთხე მოსწავლეა ჩაჭრილი! რა შეიცვალა მასწავლებელთა კორპუსში? ზოგადად სკოლაში მოშლილია სასწავლო პროცესი. თუ მოსწავლე გაკვეთილს არ ესწრება, მასწავლებელმა ვის უნდა ასწავლოს?! პრობლემები სისტემურია. ეს არ არის ერთი კონკრეტული ფაქტორით გამოწვეული პრობლემა. აქ არის ყველა ფაქტორი ერთდროულად.

***— სახელმძღვანელოები არ ვარგაო. ამაზე რას იტყვით?***

— წლების განმავლობაში ვისმენდით, რომ სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით იყო პრეტენზიები. რამდენად ლეგიტიმურია ეს პრეტენზიები, ცალკე თემაა. ეს საყვედური სულ ისმოდა, თუმცა ამ ხელისუფლებამ ისიც კი ვერ უზრუნველყო, რომ გრიფირების პროცესი დაეწყოთ და დროულად წარემართათ.

სექტემბერში ბავშვებს პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით უნდა მიეღოთ ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები, მაგრამ სამინისტრომ თავი ვერ გაართვა გრიფირების პროცესს და ეს ვერ დაიწყო, გადააბრალა გამომცემლობებს. მე პირადად შევხვდი გამომცემლობებს და ისინი აცხადებენ, რომ მათ მზად აქვთ სახელმძღვანელოები, მაგრამ, იმის გამო, რომ კომუნიკაცია ვერ წარიმართა მათ და სამინისტროს შორის, რადგან სამინისტროს თავისი ახირება აქვს გრიფირების პროცესთან დაკავშირებით, ვერ გამოცხადდა გრიფირება და სექტემბერში ბავშვები ისევ ძველ სახელმძღვანელოებს მიიღებენ.

***— განათლების მინისტრი პირობას დებდა, რომ მოსწავლეები სექტემბრიდან მთლიანად ახალ და განახლებულ სახელმძღვანელოებს მიიღებდნენ.***

— განათლების მინისტრი ბევრი რამის პირობას დებდა, მაგრამ დღეს ის, საქმის გარდა, ყველა მიმართულებით აკეთებს კომენტარს, ფარცხალაძით დაწყებული, ზღაპრის სიუჟეტებით დამთავრებული, ხან კომბლეს განიხილავს და ხან — ნაცარქექიას. ეს არის განათლების სისტემაში არსებული პრობლემებიდან ისრების გადატანა აბსოლუტურად სხვა მიმართულებით. ძირეულ პრობლემებზე ჩვენ არ გვესმის მისგან სერიოზული კომენტარები.

დღევანდელი მინისტრი სირაქლემის პოზაშია, თითქოს ვერ ხედავს ამ პრობლემებს და აბსოლუტურად არასერიოზული და არაადეკვატურია მისი მიდგომა ამ პრობლემებისადმი. მასწავლებლები მინდა ჩადგმით და არა ჩამოტარებითო და ასეთი მიდგომა კარგს არაფერს მოიტანს. მასწავლებლის პროფესია სათანადოდ უნდა დაფასდეს!

# რას უკავშირდება ოპონენტების დაპატიმრების ახალი ტალღა აზერბაიჯანში

მარიამ მჭედლიშვილი

თბილისიდან გაუჩინარებული აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის ამბავმა უკვე მიაყენა დარტყმა საქართველოს ხელისუფლებასა და ქვეყნის დემოკრატიულ იმიჯს.

მოსალოდნელია, რომ აფგან მუხთარლის სასამართლო გაამტყუნებს და იგი შეუერთდება პოლიტიკური პატიმრების დაკავებულ ჯგუფს აზერბაიჯანში.



აზერბაიჯანელი უფლებადამცველების მონაცემებით, ოპონენტების დაპატიმრების ბოლო ტალღა ქვეყანაში თებერვლიდან დაიწყო.

მანამდე უფლებადამცველებმა, ჟურნალისტებმა, სამოქალაქო და რელიგიურმა აქტივისტებმა გააპროტესტეს ძალაუფლების უზურპაცია, რაც გამოიხატა ილჰამ ალიევის მეუღლის მეჰრიბან ალიევას ვიცეპრეზიდენტად დანიშვნით.

მანამდე ეს პოსტი აზერბაიჯანში არ არსებობდა. მისი შემოღებისთვის საჭირო გახდა საკონსტიტუციო ცვლილებები, რასაც წინ უძღოდა ამ საკითხზე ჩატარებული რეფერენდუმი. ოპონენტების შეფასებით, ალიევების ოჯახი აზერბაიჯანში მონარქიას ამყარებს. ვიცეპრეზიდენტობამდე მეჰრიბან ალიევა პარლამენტის დეპუტატი და ალიევის ფონდის ხელმძღვანელი იყო.

თებერვალში აზერბაიჯანში ხელისუფლების 40-ზე მეტი მოწინააღმდეგე დააკავეს. 3 მათგანი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული, უმრავლესობას ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრა, რამდენიმემ მიიღო გაფრთხილება.

უფლებადამცველების თქმით, დაკავებულებს საქმეები შეუთითხნეს. მაგალითად, საიტ „კენდ ინფოს“ რედაქტორ ელჩინ ისმაილის გამოძალვა დააბრალეს, მანამდე პროვოკაცია მოუწყვეს. ძალაუფლების უზურპაციის გაპროტესტების გარდა, იგი ატარებდა ჟურნალისტურ გამოძიებას ისმაილის რაიონში ჩინოსნების მხრიდან კორუფციისა და თვითნებობის ფაქტებზე.

გიას იბრაგიმოვს ნარკოტიკები ჩაუდეს. იგი პროტესტს იმით გამოხატავდა, რომ საღებავს უსვამდა ჰეიდარ ალიევის ძეგლის კვარცხლბეკს. გიას იბრაგიმოვს ეს ათწლიან პატიმრობად დაუჯდა.

ხელისუფლება აზერბაიჯანში სასულიერო პირებსაც დევნის. ერთი მეჩეთის იმამსა და ღვთისმეტყველ სარდარ ბაბაევს რელიგიური წესების დარღვევას მოედავნენ. მისი „დანაშაული“ ის არის, რომ რელიგიური განათლება სხვა ქვეყანაში მიიღო.

ბლოგერი ოდხან ტემირხანი ბაქოს რეჟიმს წინა წლებში გაექცა. ის პოლიტემიგრანტად ითვლება და ჰოლანდიაში ცხოვრობს. კიოლნში გამართულ მიტინგზე მან აზერბაიჯანში დაკავებული პოლიტპატიმრების გათავისუფლება მოითხოვა და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ამის საპასუხოდ აზერბაიჯანში მისი 12 ნათესავი დააკავეს. 3 მათგანი პასუხისგებაშია მიცემული.

ოპონენტების დაპატიმრების ერთ-ერთი ძლიერი ტალღა 2014 წელს უკავშირდება. სწორედ მაშინ დააკავეს უფლებადამცველი ცოლ-ქმარი ლეილა და არიფ იუნუსები. ამის გამო შეშფოთება გამოთქვეს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმაც. ამას ოფიციალურმა ბაქომ ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა უწოდა.

2014-2015 წლებში პოლიტპატიმრების რიცხვი აზერბაიჯანში 97-დან 100-მდე მერყეობდა.

რასულ ჯაფაროვს უცხოელმა უფლებადამცველებმა სინდისის პატიმარი უწოდეს. მის გამო ისინი მოუწოდებდნენ ევროპის ქვეყნებს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ ბაქოს ევროპული თამაშებისთვის. 2016 წელს რასულ ჯაფაროვი პრეზიდენტმა ალიევმა შეიწყალა.

# გამოვიყენებთ ყველა შესაძლო ბერკეტს, რათა რაშიდ კანჯი ოღლი წარდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებული რაშიდ კანჯი ოღლის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას უკიდურესად ნეგატიურ და ცინიკურ ნაბიჯად აფასებენ.



გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგით 46-ე შეხვედრა გაიმართა. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებთან საოკუპაციო ხაზსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ბოლო ერთი თვის განმავლობაში დაფიქსირებული მნიშვნელოვანი ინციდენტები განიხილეს.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო 2016 წლის 19 მაისს საქართველოს მოქალაქე გიგა ოთხოზორიას მკვლელობის ფაქტს. მონაწილეებთან ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებმა დააფიქსირეს, რომ აუცილებელია მკვლელობაში მსჯავრდებული რაშიდ კანჯი ოღლის დაკავება, რაზედაც დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მის წინააღმდეგ ე.წ. პროკურატურამ „სისხლის სამართლებრივი დევნა“ შეწყვიტა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შეფასებით, აღნიშნული გადაწყვეტილება არის უკიდურესად ნეგატიური და ცალსახად ცინიკური. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური გამოიყენებს ყველა შესაძლო ბერკეტს, რათა გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში მსჯავრდებული რაშიდ კანჯი ოღლი წარდგეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საოკუპაციო ზოლზე ბოლო პერიოდში გააქტიურებულ ე.წ. „ბორდერიზაციის“ პროცესს და იმ პრობლემებს, რომელიც ადგილობრივებს ე.წ. გამშვები პუნქტების დახურვის შედეგად შეექმნათ. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ხაზგასმით აღინიშნა, რომ მსგავსი სახის უკანონო ქმედებები, არღვევს ადგილობრივების ფუნდამენტურ უფლებებს და მნიშვნელოვნად აზიანებს ადგილზე უსაფრთხოების გარემოს.

ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს საქართველოს იმ მოქალაქეების დაკავების ფაქტებზე, რომლებიც კვლავ უკანონოდ იმყოფებიან ე.წ. პატიმრობაში.

ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მორიგი შეხვედრა 28 ივნისს გაიმართება, — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც სუსი ავრცელებს.

# საქართველოში შექმნილი 10 სათამაშოდან 9-ში მავნე ნივთიერება აღმოჩნდა

„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებით, საქართველოში შექმნილი 10 სათამაშოდან 9-ში მავნე ნივთიერებაD-2-Etilhexilftalat აღმოჩნდა, რომელიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა და მისი სათამაშოებში გამოყენება ევროკავშირში აკრძალულია.



ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ავრცელებს.

სათამაშოების უსაფრთხოების მარეგულირებელი წესებისა და არსებული პრაქტიკის შესწავლა სახალხო დამცველის აპარატმა 2016 წლიდან დაიწყო.

ომბუდსმენის აპარატის ინფორმაციით, ახლა უკვე იწყებენ კამპანიას „უსაფრთხო სათამაშო“, რომლის ფარგლებში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ღონისძიებები სათამაშოების წარმოებისა და მიწოდების ბაზრის ზედამხედველობის მექანიზმის შექმნის, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზრის მოწესრიგების, ბიზნესსექტორის პასუხისმგებლობის განსაზღვრისა და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

ომბუდსმენის შეფასებით, სახელმწიფოს მიერ არ არის განსაზღვრული ბაზრის ზედამხედველობის ორგანო და სათამაშოების უსაფრთხოების საკითხი სახელმწიფო კონტროლსმიღმა რჩება მაშინ, როცა მავნე სათამაშოები საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების განხორციელებას. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადებით, სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ევროკავშირის დირექტივის მიხედვით სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სათამაშოების უსაფრთხოებისა და ბაზრის ზედამხედველობის მექანიზმი, რათა უზრუნველყონ ბავშვებისთვის უვნებელი და უსაფრთხო სათამაშოების ხელმისაწვდომობა. ეს დირექტივა საქართველოში 2019 წლის 1-ელ სექტემბრამდე უნდა შესრულდეს. სახალხო დამცველმა 2017 წლის 9 მარტს რეკომენდაციით მიმართა საქართველოს მთავრობას, საქართველოს ბაზაზე არსებული სათამაშოების უსაფრთხოებისა და არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ომბუდსმენის კამპანიას უერთდებიან ბიზნესორგანიზაციები, რომლებიც მზად არიან ხელი შეუწყონ უსაფრთხო სათამაშოების დამზადებას, შემოტანას და გავრცელებას საქართველოში. ასევე დაფუძნდა ასოციაცია „უსაფრთხო სათამაშო“.

# შრომისუნარიანი სოციალურად დაუცველები სახელმწიფო შემწეობას აღარ მიიღებენ

სოციალურად დაუცველ შრომისუნარიან პირებს „სამუშაოს მაძიებლად“ დარეგისტრირების ვალდებულება ეკისრებათ. შესაბამისი ინიციატივა ჯანდაცვის სამინისტრომ უკვე მოამზადა და მისი განხილვა გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზეც მოხდა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს პენსიისა და სოციალური დახმარების სამმართველოს უფროსი თეა გვარამაძე „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირების შემდეგ ოჯახის არამომუშავე შრომისუნარიან წევრებს ექნებათ ვალდებულებაwww.worknet.gov.ge-ზე „სამუშაოს მაძიებლად“ დარეგისტრირდნენ დეკლარაციის შევსებიდან“ არაუგვიანეს 30 დღეში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახი სოციალურად დაუცველთა ბაზაში ვერ მოხვდება და, შესაბამისად, ვერც სოციალურ დახმარებას მიიღებს.

საუბარია ისეთ ოჯახებზე, სადაც ერთზე მეტი შრომისუნარიანი წევრი ცხოვრობს. „ჩვენი მთავარი მიზანია, რომ მენტალურად შევცვალოთ ეს ადამიანები და ინფორმაციის თვალსაზრისით უფრო მეტი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ. ვინც კი რეგისტრირდება Worknet-ზე და აქვს თავისი პროფილი, იმ სურვილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად მისდის სმს ვაკანსიებთან დაკავშირებით, ასევე – დასაქმების ფორუმებთან დაკავშირებით ინფორმაციებზე შეტყობინება“, – აცხადებს გვარამაძე.

კითხვაზე, რამ განაპირობა ცვლილების შემოტანა, გვარამაძე განმარტავს, რომ აღნიშნული სოციალურად დაუცველთა ბაზაში არსებულმა საკმაოდ ბევრი შრომისუნარიანი პირის არსებობამ განაპირობა.

– დღეს ტენდენცია შეინიშნება იმისი, რომ ჩვენს ბაზაში ძალიან ბევრი შრომისუნარიანი ადამიანია რეგისტრირებული. შესაბამისად, საარსებო შემწეობის მიმღები. ჩვენი მთავარი ამოცანაა ამ პირების აქტიურ შრომის ბაზარზე გაყვანა. გვინდა, რომ ამ პირებმა ეკონომიკური დამოუკიდებლობა მოიპოვონ, – აცხადებს გვარამაძე.




მისი ინფორმაციით, საწყის ეტაპზე „სამუშაოს მაძიებლად“ დარეგისტრირების ვალდებულება სოციალურად დაუცველთა ბაზაში დარეგისტრირების მსურველებს შეეხებათ, ასევე – იმ პირებს, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო განმეორებითი შეფასება ეხებათ. მისი განმარტებით, განმეორებით შეფასებას კი ექვემდებარება ოჯახში დემოგრაფიული ან რაიმე სხვა ტიპის ცვლილებას. ამ შემთხვევაში ოჯახს აქვს ვალდებულება, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადასამოწმებლად სააგენტოს მიმართოს.

რაც შეეხება ბაზაში არსებულ პირებს, გვარამაძის განმარტებით, სარეიტინგო ქულის შესაბამისობა 4 წელიწადში ერთხელ მოწმდება. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულება მათ 4 წლის შემდეგ ექნებათ.

გვარამაძის განცხადებით, 2017 წლის მაისის მდგომარეობით, საარსებო შემწეობას იღებს 437.684 პირი. შემწეობის ოდენობა ოჯახის ერთ წევრზე 30-დან 60 ლარამდეა, ერთ ბავშვზე კი ამ თანხას 10 ლარი ემატება.

# „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებსა და მათ მფლობელებს სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნა ექნებათ“

– საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობა იქნება სავალდებულო წესით დაზღვეული და ეს მოთხოვნა იქნება გავრცელებული და აღსრულებული, ვინაიდან ჩვენ ხშირად გვაქვს ასეთი ინციდენტებიც, რომელსაც ზოგ შემთხვევაში – ადამიანის სიცოცხლის, ზოგ შემთხვევაში – ჯანმრთელობისა თუ ქონების დაკარგვა სდევს თან. ამიტომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ისიც უნდა დავაანონსო, რომ ჩვენ ვმუშაობთ, რომ მთლიანად მესამე პირის მიმართულებით, მესამე მხარის ვალდებულების დაზღვევა გავრცელდეს არა მხოლოდ უცხოეთში რეგისტრირებულ, არამედ ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, ვინაიდან ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მწვანე ბარათის სისტემაში საქართველოს გაწევრიანებისთვის და იმისათვის, რომ საქართველოში მოგზაურმა უცხოელებმაც იგრძნონ თავი იმ ქვეყანაში, სადაც ვრცელდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მოქმედი წესები და მესამე პირთა მიმართ ვალდებულება უნდა იყოს რაც შეიძლება ფართოდ დაზღვეული ჩვენს ქვეყანაში, – განაცხადა კვირიკაშვილმა.



ამასთან, პრემიერ-მინისტრის განცხადებით, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებები შედის. ცვლილებების მიზანია, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ისეთი გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი მოვლენების დროს, როდესაც ზიანი ადგება მესამე პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას, მოხდეს სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის უფრო მეტად დაცვა და მიყენებული ზარალის პრევენცია.

– ბოლო პერიოდში მომხდარი რამდენიმე ხანძრის შედეგად, საკმაო ზარალი მიადგა სავაჭრო ცენტრებს, მათ მომხმარებლებს, იქ ფუნქციონირებად მცირე და საშუალო ბიზნესს. ამიტომ, შემოგვაქვს ცვლილება – სახელმწიფო შეადგენს ნუსხას და ამ ნუსხაში გათვალისწინებულ ობიექტებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და მათ მფლობელებს ექნებათ სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნა, რათა მესამე პირების მიმართ სიცოცხლის, ჯანმრთელობის და ქონების ნაწილში მიყენებული ზიანი იყოს აუცილებელი წესით დაზღვეული, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

ბი პი ექსპლორეიშნ (კასპიის ზღვა) საქართველო გეგმავს გამოაცხადოს ტენდერი საგზაო ტრანსპორტის მართვის მომსახურების გაწევაზე:

- პროფესიული მძღოლების მოწოდება, ტრეინინგებისა და კომპეტენციის შეფასების უზრუნველყოფა
- ავტოტრანსპორტით მომსახურება და/ან ქირავნობა ქალაქის მასშტაბით, დიდ მანძილებზე და უგზოობის პირობებში სამოძრაოდ
- ავტოტრასპორტის მოვლა/შეკეთების დაგეგმვა, კოორდინაცია, შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება მწარმოებელთა რეკომენდაციების შესაბამისად
- ტრანსპორტის ქოლ ცენტრის/მგზავრობის დაგეგმარების და კოორდინაციის, ტრანსპორტის დროული მიწოდების მენეჯმენტი
- სატრასპორტო საშუალებების შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: დაზღვევა, რეგისტრაცია, სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, საწვავის საბარათე სისტემის უზრუნველყოფა, ინვენტარი, მანქანის რეცხვა, პარკირება, მოძრაობის ჯარიმების გადახდა, და ა.შ.
- ბი პი-ს საკუთრებაში მყოფი, თუ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა მანქანის შიდა მონიტორინგის სისტემით (IVMS)

**დაინტერესებულ კომპანიებს გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა შემდეგ ელ ფოსტის მისამართზე:arveladm@bp.com ან კომპანიის ოფისის მისამართზე; თბილისი, სულხან ცინცაძის 24, კონტრაქტების განყოფილების უფროსის მაკა არველაძის სახელზე. მოწოდების ბოლო ვადაა 2017 წლის 5 ივნისი.**

# მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ფართის იჯარით გაცემას შეეძლება

**მიკროსაფინანსოების საქმიანობის შესახებ კანონში ცვლილებები იგეგმება**

პარლამენტში ინიცირებულია კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებები იგეგმება. პროექტის ავტორი ეროვნული ბანკი, ხოლო პარლამენტში ინიციატორი – საქართველოს მთავრობაა.

ცვლილებების მიხედვით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის ნებადართული საქმიანობის ჩამონათვალს საგადახდო მომსახურების პროვაიდერის აგენტის ფუნქციის შესრულებისა და ფართის იჯარით გაცემის უფლებამოსილება ემატება.

გარდა ამისა, როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით, კანონს ასევე ემატება მუხლი, რომელიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებს დაარეგულირებს და ამ პროცესში საქართველოს ეროვნული ბანკისა და ლიკვიდატორის უფლებამოსილებებს განსაზღვრავს.

– მიკროსაფინანსო ორგანიზაციის რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაცია ხდება. ლიკვიდატორის ფუნქციებს ეროვნული ბანკის მიერ დანიშნული პირი ასრულებს. ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისთანავე წყდება იძულებითი აღსრულება.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდატორი ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით ეროვნული ბანკის წინაშე არის ანგარიშვალდებული. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდატორი უფლებამოსილია საჯარო აუქციონზე გაყიდოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივები ან ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით აირჩიოს რეალიზაციის სხვა ფორმა, ასევე, აქტივებზე მოთხოვნის უფლება გადასცეს კრედიტორებს რიგითობის მიხედვით, საფინანსო სექტორის წარმომადგენელს გადასცეს სესხებზე ან სხვა საფინანსო აქტივებზე მოთხოვნის უფლება და ორგანიზება გაუწიოს აღნიშნული ვალდებულებათა გადაცემას. ამასთან, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდატორი უფლებამოსილნი არიან სასამართლოში სარჩელის შეტანით მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ადმინისტრატორის მიერ ლიკვიდატორის დანიშვნამდე ერთი წლით ადრე განხორციელებული ქმედება ან გარიგება სადავო გახადონ და მათი ბათილობა მოითხოვონ თუ ამის შედეგად მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან დაკავშირებულმა პირებმა ამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხარჯზე მიიღეს ქონებრივი სარგებელი ან ისარგებლეს რაიმე უპირატესობით, პრივილეგიით ან შეღავათით, რამაც გამოიწვია მიკროსაფინანსო ორგანიზაციისათვის ან/და მისი კრედიტორებისათვის ზიანის მიყენება, – ნათქვამია კანონპროექტში.

# ირაკლი გედენიძე: „მიხეილ სააკაშვილმა მკითხა, ვიცოდი თუ არა, ვინ „გამიჩალიჩა“ ჯაშუშობის ამბავი“

– მიხეილ სააკაშვილმა მკითხა, ვიცოდი თუ არა, ვინ „გამიჩალიჩა“ ჯაშუშობის ამბავი.

ამის შესახებ ფოტოგრაფმა ირაკლი გედენიძემ სააპელაციო სასამართლოში დაკითხვის დროს განაცხადა.

მისი თქმით, სააკაშვილმა მას ახალაია და მერაბიშვილი დაუსახელა.

– შემთხვევიდან რამდენიმე წლის შემდეგ აგვისტოს თვეში შევხვდი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს. ლაშქრობაში ვიყავით ტობავარჩხილის ტბებზე. თვითონ დამიძახა და მითხრა, რომ ის და სანდრა გაოგნებულნი და შეწუხებულნი იყვნენ მომხდარის გამო. დამისვა კითხვა თუ ვინ „გაგვიჩალიჩა“ ეს ამბავი. მან დაასახელა მაშინდელი ძალოვანი სტრუქტურების ორი წარმომადგენელი – ახალაია და მერაბიშვილი.

ვუთხარი, ჩემი ჯაშუშობა არ გაიშვა-მეთქი და ამ საქმეში ადეიშვილიც რომ მონაწილეობდა ამაზე გავაკეთე აქცენტი, მაგრამ სააკაშვილმა თქვა, ადეიშვილი არ იყოო. ვკითხე, რატომ მომაკერეს ეს იარლიყი. იქ ვრცლად საუბრის დრო და საშუალება არ იყო, ამიტომ ვუთხარი, რომ მისმა გარემოცვამ ჩემი კოორდინატები იცოდა და ნებისმიერ დროს შევხვდებოდი და დეტალურად მოვუყვებოდი ყველაფერს. მას გავესაუბრე, მიუხედავად იმისა, რომ კონტრდაზვერვის მხრიდან კატეგორიულად ვიყავი გაფრთხილებული, რომ პრეზიდენტსაც კი არ უნდა გავსაუბრებოდი იმაზე, რა მეთოდებსაც ისინი იყენებდნენ, – განაცხადა ირაკლი გედენიძემ.

– მოითხოვდნენ მეთქვა, რომ ზურაბ ქურციკიძე მაშანტაჟებდა, რათა მიმეცა ფოტოები პრეზიდენტის რეზიდენციის გეგმის და სხვადასხვა შეხვედრის სტენოგრამები მოითხოვდნენ მეთქვა, რომ ზურაბ ქურციკიძე მაშანტაჟებდა, რათა მიმეცა ფოტოები პრეზიდენტის რეზიდენციის გეგმის და სხვადასხვა შეხვედრის სტენოგრამები. უნდა მეთქვა, რომ გარკვეული ფულადი ანაზღაურების შესაბამისად, ქურციკიძე ითხოვდა პრეზიდენტის რეზიდენციიდან სხვადასხვა მასალას, – განაცხადა ფოტორეპორტიორმა ირაკლი გედენიძემ სააპელაციო სასამართლოში დაკითხვისას.

გედენიძემ დეტალურად გაიხსენა, თუ როგორ მოხდა მისი დაკავება.

– ვმუშაობდი პრეზიდენტის პირად ფოტოგრაფად. როდესაც პრეზიდენტის სასახლეში დავიწყე მუშაობა, ჩემი უშუალო უფროსი გავაფრთხილე, რომ დამატებით სხვა საქმეებიც მქონდა – მოდელებს ვიღებდი თუ საზოგადოებრივ მოვლენებს, მქონდა სხვა შემოსავალიც. რაც შეეხება იმ დღეს – 26 მაისს იყო დაძაბული ვითარება. სამსახურის მერე, კოლეგების სანახავად მივედი აქციის ადგილზე და როგორც ფაქტის შემსწრე ფოტოგრაფმა ფოტოები გადავიღე. 7 ივნისს, ღამის 2 საათზე, კაკუნი იყო კარზე. ჩემმა მეუღლემ იკითხა, ვინ იყვნენ. მათ უთხრეს, რომ სართულზე კრიმინალური ფაქტი მოხდა და პოლიციიდან მოვიდნენ. კარის გახსნის შემდეგ სახლში პოლიციელები შემოცვივდნენ. ერთს ჰქონდა კამერა და მეგონა, რომ ფარული კამერით ვიღაც მეხუმრებოდა. შემდეგ ხელბორკილები დამადეს, ჩაატარეს ჩხრეკა, ამოიღეს პირადი კომპიუტერები, დალუქეს სახლი და ფარეხი და ჩამსვეს მანქანაში. ავტომობილში შევნიშნე გვერდზე გადადებული იარაღი და მივანიშნე პოლიციელებს, რამაც მათი გაღიზიანება გამოიწვია. წამიყვანეს ჯიქიაზე სასაფლაოზე, სადაც ახლადგარდაცვლილის ქვა-ღორღით დაფარულ საფლავთან დამაგდეს და დამიწყეს ცემა. შემდეგ ერთმა ამოიღო იარაღი და შუბლზე დამადო. მეორემ შეაჩერა, უთხრა, რომ საკმარისი იყო და



წამომიყვანეს უკან. „მოდულის“ შენობაში შემიყვანეს. ოთახში 4-5 ადამიანი დამხვდა. მათ შორის იყო დავით დევნოზაშვილი, რომელმაც დამიწყო გინება და მეკითხებოდა, კიდევ ვისთან მქონდა კავშირი. ერთმა დამიწყო გაშლილი ხელით ცემა, რომ ჯაშუშობა მეღიარებინა. ვეკითხებოდი, რა უნდა მეღიარებინა. გამომართვეს მეილის პაროლი და ასევე ითხოვდნენ კომპიუტერის პაროლს. ვუთხარი, რომ პაროლი არ სჭირდებოდა კომპიუტერს. დევნოზაშვილი აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ შვილები მყავს, რომლებსაც ჯაშუში მამა ეყოლებათ. მაძალებდნენ, რომ გამეხსენებინა ვისთან ერთად ვჯაშუშობდი. ცხადია, ვერ ვიხსენებდი და არც ვიცოდი, რა უნდა მეთქვა.

შემდეგ მოვიდა ქალბატონი, რომელმაც მითხრა, რომ საიას იურისტი იყო და ჩემს უფლებებს დაიცავდა. მან მოიტანა ფურცელი, სადაც ეწერა შაჰ აივაზოვი, ზურაბ ქურციკიძე და გია აბდალაძე. მითხრა, რომ მათთან ჯაშუშობის ბრალდებით დამაკავეს. ასევე მან გამაგებინა, რომ ჩემი მეუღლეც იქვე იყო შენობაში. შემდეგ ისევ დევნოზაშვილთან შემიყვანეს, რომელმაც მაჩვენა ჩემი მეუღლის პიკანტური ფოტო და მითხრა, რომ თუ არ მსურდა ამ ფოტოს გასაჯაროება, თუ გინდა, შენი ცოლი იყოს გარეთ შენს შვილებთან ერთად, უნდა კარგად გაიხსენო, ვისთან ერთად ჯაშუშობდიო. ეს ყველაფერი გინებისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფონზე ხდებოდა. ადვოკატი მოვითხოვე, მაგრამ მითხრეს, რომ იმ ადვოკატმა უარი თქვა და არავინ დამეხმარება, – განაცხადა ირაკლი გედენიძემ.

გედენიძემ გაიხსენა, როგორ მისცა იმ შინაარსის ჩვენება, რომელსაც მისგან შსს-ს წარმომადგენლები ითხოვდნენ.

– შემიყვანეს გვერდით ოთახში, სადაც იყო კამერა და იყვნენ შსს-ს პრესცენტრის თანამშრომლები. დავიწყეთ ჩაწერა, მაგრამ ვერ ვახერხებდი ამ ყველაფრის დალაგებულად თქმას. რამდენიმე დუბლის მერე დევნოზაშვილს ნერვები მოეშალა. შემდეგ როგორღაც მოვახერხე ჩაწერა. ხელიც მომაწერინეს ჩვენებაზე და მითხრეს, რომ ხვალინდელ სასამართლოზე ჩემს მეუღლეს გაუშვებდნენ სახლში. 2 დღის შემდეგ გამიყვანეს კამერიდან, შემიყვანეს დევნოზაშვილთან და ოქროსჯაჭვიან ადამიანთან. მოითხოვეს, რომ დამატებითი ჩვენების შემდეგ უნდა მეთქვა, რომ ზურაბ ქურციკიძეს ვაძლევდი 2008 წლის ომის დროს ჯარისკაცების გადაადგილების გეგმა. ვუთხარი, რომ ჯართან არ მქონდა არანაირი შეხება. დევნოზაშვილმა ისევ დაიწყო საუბარი, რომ მას ჰქონდა ჩემი მეუღლის ფოტოები და რომ მყავდა შვილები. ამის გამო დამემართა გულის შეტევა და გადამიყვანეს სამედიცინო პუნქტში. საბოლოოდ, ამაზე ჩვენება აღარ მიმიცია იმიტომ, რომ ჯარი არის ქვეყნის სიძლიერის საფუძველი და მათზე ღალატს ვერანაირი შანტაჟით ვერ გავაკეთებდი, – განაცხადა ირაკლი გედენიძემ.

# საქართველოს საზღვარი დაცულია დასავლური სტანდარტების შესაბამისად

– მინდა სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ საქართველოს საზღვარი დაცულია მაქსიმალურად, დასავლური სტანდარტების შესაბამისად.

ამის შესახებ ჟურნალისტებს შსს-ს სასაზღვრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა დათო ნიკოლეიშვილმა შსს-ში დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ განუცხადა. შეხვედრაზე აზერბაიჯანის მოქალაქე აფგან მუხთარლის საქმესთან დაკავშირებით მიმდინარეობდა საუბარი.

როგორც ნიკოლეიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გამოძიებასთან დაკავშირებით შუალედური ინფორმაცია მიაწოდეს. მისივე თქმით, გამოძიება აქტიურ ფაზაშია და მიმდინარეობს ყველა ის მოქმედება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

მისივე თქმით, განცხადებები, რომელიც საზოგადოების ნაწილის მხრიდან კეთდება, თითქოს აფგან მუხთარლი გატაცებულია რომელიმე ოფიციალური ჯგუფის მიერ, ემსახურება იმას, რომ მოხდეს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტება. ის აღნიშნულ განცხადე-



ბებს უტრირებულს უწოდებს.

– აზერბაიჯანის მოქალაქის, აფგან მუხთარლის საქმეზე საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე და საერთაშორისო თანამეგობრობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ჩვენ შევხვდით დიპლომატიურ კორპუსს, რომელთაც გამოძიებასთან დაკავშირებით მივაწოდეთ შუალედური ინფორმაცია.

გამოძიება აქტიურ ფაზაშია. მიმდინარეობს ყველა ის მოქმედება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით. მინდა ვთქვა, რომ ის აჟიოტაჟი, რომელიც გამოწვეულია საზოგადოებაში, სულ მცირე, უტრირებულია. ჯერ ძალიან ადრეა ისეთი უაპელაციო განცხადებების გაკეთება, რომ საქართველოში რომელიმე ოფიციალურმა ჯგუფმა გაიტაცა მოქალაქე.

ეს მხოლოდ ემსახურება იმას, რომ მოხდეს საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტება. მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველოს საზღვარი დაცულია მაქსიმალურად დასავლური სტანდარტების თანახმად. ეს სტანდარტები პოლიციურ პატრულირებას მოიცავს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თეორიულად საზღვრის უკანონო გადაკვეთის რისკები არ არსებობს. ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს ალბათობა, რომ ადამიანმა უკანონოდ გადაკვეთოს ე.წ. მწვანე საზღვარი, – განაცხადა დათო ნიკოლეიშვილმა.

შსს-ში საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან შეხვედრა დახურულ კარს მიღმა საათზე მეტ ხანს მიმდინარეობდა. უცხოელ დიპლომატებს შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილეები იოსებ გოგაშვილი და ალექსანდრე ტაბატაძე მასპინძლობდნენ. შეხვედრას აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ელჩი ჰაიკე რენატე ფეიჩი, შვედეთის სამეფოს ელჩი მარტინა ქვიკი, იტალიის რესპუბლიკის ატაშე მასიმო მოსონი, ლიტვის, უნგრეთის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ესტონეთის, დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, სლოვაკეთისა და სხვა ქვეყნების საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აზერბაიჯანელი მოქალაქის აფგან მუხთარლის გაუჩინარების შესახებ ოჯახმა 30 მაისს განაცხადა. მოგვიანებით გაირკვა, რომ მოქალაქე აზერბაიჯანის სამართალდამცავებმა დააკავეს. აზერბაიჯანის პროკურატურის ინფორმაციით, აფგან მუხთარლი საზღვრის უკანონო გადაკვეთის დროს დააკავეს. აზერბაიჯანის სახელმწიფო უწყების ბრალდებას მუხთარლის ოჯახის წევრები არ ეთანხმებიან. მათი თქმით, არსებობს ეჭვი, რომ ის საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოიტაცეს და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადაიყვანეს.

# ზაზა ხატიაშვილი: „დადებითად შევაფასებ ლადო ჭანტურიასა და სოფო ჯაფარიძის კანდიდატურებს, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვი შოთა გეწაძეზე“

– დადებითად შევაფასებ ლადო ჭანტურიასა და სოფო ჯაფარიძის კანდიდატურებს, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვი შოთა გეწაძეზე.

ამის შესახებ ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ზაზა ხატიაშვილმა მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი 3 მოსამართლის საკითხზე დასმული კითხვის კომენტირებისას განუცხადა.

ზაზა ხატიაშვილის თქმით, ის იმედოვნებს, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გააკეთებს სწორ არჩევანს. მისივე თქმით, ლადო ჭანტურია, სოფო ჯაფარიძე არიან ღირსეული კანდიდატები, თუმცა შოთა გეწაძე არის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის „მართლმსაჯულების განმახორციელებელი“.

– დადებითად შევაფასებ ლადო ჭანტურიასა და სოფო ჯაფარიძის კანდიდატურებს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში. ისინი კომისიის წინაშე კვალიფიციურად წარდგნენ და მიმაჩნია, რომ მათ აქვთ მაღალი ზნეობრივი და მორალური კრიტერიუმები.

ის ფაქტი, რომ შოთა გეწაძეა წარდგენილი – სირცხვილია. სწორედ გეწაძეა ის მოსამართლე, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის დროს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ბრძანდებოდა და ძალადობრივ მართლმსაჯულებას ახორციელებდა. მე იმედი მაქვს,



რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გააკეთებს სწორ არჩევანს, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

მთავრობამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი 3 მოსამართლის კანდიდატურა შეარჩია. ესენი არიან: ლადო ჭანტურია, სოფო ჯაფარიძე და შოთა გეწაძე.

ცნობისთვის, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის მიზნით განმეორებითი კონკურსი მას შემდეგ ჩატარდა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კომიტეტმა საქართველოდან წარდგენილი კანდიდატების სია, ალექსანდრე ბარამიძის, ევა გოცირიძისა და გიორგი ბადაშვილის შემადგენლობით, არ დაამტკიცა.

# ლადო ჭანტურია: „სამივე კანდიდატს არჩევის თანაბარი შანსი აქვს“

– სამივე კანდიდატს აქვს არჩევის თანაბარი შანსი. დანარჩენს ის პროცედურა გადაწყვეტს, რომელიც სტრასბურში უნდა ჩატარდეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ევროპის სასამართლოს მოსამართლეობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ლადო ჭანტურიამ განუცხადა.

– პირველ რიგში, ძალიან დიდი მადლობა მინდა მოვახსენო საქართველოს მთავრობას გამოხატული ნდობისთვის. ძალიან დიდი მადლობა მინდა მოვახსენო იმ კომისიას, რომელმაც ჩემი კანდიდატურა წარუდგინა მთავრობას. დანარჩენი ვნახოთ. თქვენ იცით, რომ ეს საკმაოდ რთული პროცესია. დაველოდოთ როგორ განვითარდება მოვლენები. პროგნოზებთან დაკავშირებით მე ყოველთვის თავშეკავებული ვარ. ამჯერადაც ასე ვიქცევი. იქ კონკურსია, შერჩევაა, გასაუბრებაა, კენჭისყრაა – ასე რომ, სამივე კანდიდატმა მთელი პროცედურა უნდა გავიაროთ, – აღნიშნა ლადო ჭანტურიამ.

მთავრობამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი 3 მოსამართლის კანდიდატურა შეარჩია. ესენი არიან ლადო ჭანტურია, სოფო ჯაფარიძე და შოთა გეწაძე.

სპეციალურმა სამთავრობო კომისიამ მთავრობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის მსურველი 5 კანდიდატი – ლადო ჭანტურია, სოფიო ჯაფარიძე, შოთა გეწაძე, თამარ ალანია და ირაკლი დონდოლაძე – წარუდგინა.

საქართველოს მთავრობის მიერ სამეულის შერჩევის შემდეგ მათი ვინაობა და საბუთები თავდაპირველად წარედგინება ევროსაბჭოს ექსპერტებისგან შემდგარ მრჩეველთა პანელს, რომელიც შექმნილია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციის საფუძველზე და გას-



ცემს რეკომენდაციას იმის შესახებ, აკმაყოფილებენ თუ არა წარდგენილი კანდიდატები კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს. ამის შემდეგ სია გადაეცემა შესაბამის კომიტეტს, რომელიც კენჭს უყრის სიის მისაღებობას და, დადებითი კენჭისყრის შემთხვევაში, მოუსმენს სამივე კანდიდატს. გასაუბრებების შემდეგ კომიტეტი რეკომენდაციას გაუწევს ერთ ან მეტ კანდიდატს. პროცედურის დასასრულს, კანდიდატთა სამპირიანი სია წარედგინება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეას, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეს ირჩევს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან წარსადგენი მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის მიზნით განმეორებითი კონკურსი მას შემდეგ ჩატარდა, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კომიტეტმა საქართველოდან წარდგენილი კანდიდატების სია, ალექსანდრე ბარამიძის, ევა გოცირიძისა და გიორგი ბადაშვილის შემადგენლობით, არ დაამტკიცა.

## ტრამპმა ვიეტნამის პრემიერი მიიღო



ვაშინგტონში ვიეტნამის პრემიერი ნგუენ სუან ფუკი ჩავიდა. ის პირადად დონალდ ტრამპმა მიიღო.

– მოლაპარაკებების მთავარი თემა ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცება გახლდათ.

აშშ-ვიეტნამს შორის ურთიერთობების ნორმალიზება 1995 წელს დაიწყო. დღეისთვის აშშ და ვიეტნამი მეგობრული სახელმწიფოებია. ვიეტნამელები სწორედ აშშ-ში ხედავენ ძლიერ მოკავშირეს ჩინეთის ექსპანსიისგან თავის დასაცავად.

## უკრაინაში გაზპრომის კუთვნილი აქციები დააყადაღეს



უკრაინის ხელისუფლებამ გაზპრომის კუთვნილი აქციები დააყადაღა, ვინაიდან რუსეთს უკრაინის 7,4 მილიარდი დოლარის ვალი დაუგროვდა.

ოფიციალური კიევის ამ ნაბიჯმა კრემლის რისხვა გამოიწვია. გაზპრომის ხელმძღვანელმა ალექსეი მილერმა უკრაინის მთავრობის მოქმედების გამო გაოცება გამოთქვა. ვლადიმერ ჟირინოვსკი უფრო შორს წავიდა. ის პირდაპირ მუქარას არ მოერიდა:

– უკრაინა გათავხედდა! ამისი დაუსჯელად დატოვება უკვე შეუძლებელია!

აღსანიშნავია, რომ გაზპრომის აქციების დაყადაღება რუსეთ-უკრაინას შორის მეგობრობისა და კეთილმეზობლობის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების მე-20 წლისთავს დაემთხვა.

## ამინა ოკუევა: „რუსეთის დაშლა გარდაუვალია!“



დონბასში უკრაინელთა მხარეს მებრძოლმა ჩეჩენმა მოხალისე ამინა ოკუევამ განაცხადა, რომ ომი ამ რეგიონში მხოლოდ მას შემდეგ დამთავრდება, როცა რუსეთის იმპერია აღარ იქნება.

– რუსეთის ფედერაცია ძალადობრივი გზით შეკოწიწებულ კონგლომერატს წარმოადგენს. მისი დაშლა გარდაუვალია, – თვლის ჩეჩენი მეომარი.

ოკუევას აზრით, ყირიმის ანექსიით რუსეთის ყელზე მარყუჟი საბოლოოდ გაინასკვა. პროცესი, რომელსაც რუსეთის დაშლა ჰქვია, დაიწყო და ის თავის ლოგიკურ დასასრულამდე აუცილებლად მივა.

– რუსეთის დაშლა გარდაუვალია! – აცხადებს ჩეჩენი მოხალისე.

## ფილიპინების ავიაციამ შეცდომით სამთავრობო არმია დაბომბა



ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში, ფილიპინების ავიაციამ შეცდომით სამთავრობო არმიის შენაერთი დაბომბა. ქვეყნის სამხრეთით, ქალაქ მარავიში განხორციელებული ავიაიერიშის შედეგად 11 ჯარისკაცი დაიღუპა, 8 დაიჭრა.

ფილიპინების არმია ისლამური სახელმწიფოს მოკავშირე ისლამისტების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას ატარებს. ქვეყნის პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ კუნძულ მინდაოზე საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

ფილიპინების არმია საჰაერო დარტყმებით ჯიჰადისტების ქალაქიდან განდევნას ცდილობს. მშვიდობიანმა მოსახლეობამ ქალაქი უკვე დატოვა.

23 მაისს ფილიპინების უშიშროების სამსახურმა ისლამისტების ერთ-ერთი ლიდერის დაკავება ცადა, თუმცა რამდენიმე ათეულმა მებრძოლმა მათ წინააღმდეგობა გაუწია. მათ ქალაქ მარავის რამდენიმე უბანი დაიკავეს და მძევლები აიყვანეს.



22 მაისს ფილიპინების პრეზიდენტმა როდრიგო დუტერტემ ტერორისტების მასშტაბური შეტევის გამო მინდანაოს პროვინციაში სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა. მან ამის გამო რუსეთში ვიზიტი შეწყვიტა და სამშობლოში დაბრუნდა.

– თუკი საჭირო იქნება, სამხედრო მდგომარეობა ერთ წელიწადს გაგრძელდება. სახლში ვბრუნდები და ამ პრობლემას მოვაგვარებ, – განაცხადა დუტერტემ სპეციალურ ვიდეომიმართვაში.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## რუსეთიდან ორი ესტონელი დიპლომატი გააძევეს



რუსეთიდან ორი ესტონელი დიპლომატი გააძევეს. თანახმად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობისა, ეს იყო პასუხი ესტონეთიდან ორი რუსი დიპლომატის გაძევებაზე.

– ესტონელი დიპლომატები პერსონა ნონ გრატად გამოაცხადეს, – ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეტყობინებაში.

## მოლდოვის პრეზიდენტი მთავრობასა და პარლამენტს ემუქრება



რუსეთმა თავისი მუქარა სისრულეში მოიყვანა. მოლდოვიდან 5 რუსი დიპლომატის გაძევების საპასუხოდ რუსეთიდან 5 მოლდაველი დიპლომატი გააძევეს. მათ შორისაა ელჩი კოგუცუ.

– რუსეთ-მოლდოვის ურთიერთობები კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა, – განაცხადა მოლდოვის პრეზიდენტმა დოდონმა.

პრეზიდენტმა მომხდარში მოლდოვის მთავრობა და პარლამენტის დემოკრატიული უმრავლესობა დაადანაშაულა. მან აღნიშნა, რომ დემოკრატები არა ქვეყნის, არამედ თავიანთი დასავლელი პატრონების ინტერესებით ხელმძღვანელობენ. დოდონი არც პირდაპირ მუქარას მოერიდა:

– თუკი მთავრობა და პარლამენტი რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვას მომავალშიც განაგრძობენ, გადამწყვეტ სიტყვას მოლდოვის მოსახლეობა იტყვის. ის გაყრის პარლამენტს და დაშლის მთავრობას, – ამბობს დოდონი.

## ალექსეი ნავალნის აქციის გამართვაზე უარი უთხრეს



რუს ოპოზიციონერ ალექსეი ნავალნის მოსკოვის მერიამ ტვერის ქუჩაზე აქციის გამართვაზე უარი უთხრა. ამის მიზეზად ის დასახელდა, რომ 12 ივნისს ამ ქუჩაზე სხვა ღონისძიებებია დაგეგმილი.

ნავალნის ალტერნატივად მოსკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს სთავაზობენ, ხოლო ტვერის ქუჩაზე ყველანაირი აქციის გამართვა აკრძალულია.

ნავალნის შტაბს ალტერნატიულ შეთავაზებებზე ჯერჯერობით პასუხი არ გაუცია.

ნავალნის 12 ივნისს აქციის გამართვა რუსეთის მთავრობაში არსებულ კორუფციას გააპროტესტებს. აქციაზე დაახლოებით 15 ათასი ადამიანის მისვლას ელიან. ნავალნის მიერ გამართული წინა აქცია მასობრივი დაკავებებით დასრულდა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოების, პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ აპარატსა და სქესობრივი კონტაქტის დასამყარებელ „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ლორია მიგინეიშვილმა ჩაანაცვლა. ნაკრებისთვის ტრავმირებული ხოჭოლავა ოდესაში თამაშობს

დღეს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ამხანაგური და ოფიციალური მატჩებისთვის მოსამზადებლად შეიკრიბება.

ვლადიმირ ვაისის მიერ ადრე დასახელებულ შემადგენლობაში იძულებითი ცვლილება განხორციელდა – ტრავმის გამო ეროვნულ ნაკრებს გიორგი ლორია და ლევან მჭედლიძე გამოაკლდნენ. სლოვაკი სპეციალისტის გადაწყვეტილებით, ეროვნული ნაკრების შემადგენლობას სამტრედიელთა მეკარე ომარ მიგინეიშვილი დაემატა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, ლორიასა და მჭედლიძის გარდა, ნაკრებს ტრავმების გამო გიორგი ქვილითაია და დავით ხოჭოლავა ვერ დაეხმარებიან. თუმცა, ამ ინფორმაციის შემდეგ ხოჭოლავამ 90 წუთი ითამაშა ოდესის ჩერნომორეცის შემადგენლობაში. მსგავსი ფაქტები ადრეც მომხდარა, როგორც ჩანს, გაგრძელება აქვს და ექნება...

ასეა თუ ისე, ამ დროისთვის ეროვნულ ნაკრებში 24 ფეხბურთელია გამოძახებული:

**მეკარეები**: გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია), როინ კვასხვაძე (ტორპედო), ომარ მიგინეიშვილი (სამტრედია)

**მცველები**: ოთარ კაკაბაძე (ესბიერგი, დანია), უჩა ლობჟანიძე (ატირაუ, ყაზახეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), სოლომონ კვერკველია (ლოკომოტივი, რუსეთი), ჯემალ ტაბიძე (ურალი, რუსეთი), გიორგი ნავალოვსკი (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ლაშა შერგელაშვილი (რიგასი, ლატვია), ლაშა დვალი (ირტიში, ყაზახეთი);

**ნახევარმცველები**: ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ნიკა კვეკვესკირი (ტობოლი, ყაზახეთი), მურთაზ დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო, თბ), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი) , ვაკო ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), გიორგი მერებაშვილი (პლოცკი, პოლონეთი);

**თავდამსხმელები**: ლადო დვალიშვილი (ატირაუ, ყაზახეთი), ნიკა კაჭარავა (ეთნიკოსი, კვიპროსი), ბაჩანა არაბული (დინამო თბ), ელგუჯა ლობჯანიძე (ორენბურგი, რუსეთი), გიორგი არაბიძე (შახტარი, უკრაინა).

ვლადიმირ ვაისმა ის 6 ფეხბურთელიც დაასახელა, რომელთაც სადღეისოდ საქართველოს



ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს და გაუთვალისწინებელი ფაქტორების შედეგად, შესაძლოა, დაიხმაროს.

გიორგი ქიმაძე (ტორპედო), თეიმურაზ შონია (დინამო ბთ), საბა ლობჟანიძე (დინამო თბ), ჯაბა ჯიღაური (ვარდარი, სკოპიე), ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი), დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია).

შეგახსენებთ, რომ 7 ივნისს, 20:00 საათზე საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას სენტ კიტსისა და ნევისის ნაკრების წინააღმდეგ მესხის სახელობის სტადიონზე ჩაატარებს, 11 ივნისს კი 20:00 საათზე ქართველი ფეხბურთელები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრას ქალაქ კიშინიოვში მოლდოვის წინააღმდეგ გამართავენ.

ამასობაში ფიფას ახალი რეიტინგი გამოქვეყნდა და საქართველოს ნაკრების პოზიცია რეიტინგში არ შეცვლილა – ის 271 ქულით კვლავ 122-ე ადგილზეა.

ჩვენი უახლოესი მეტოქე, სენტ კისტისა და ნევისის ნაკრები, რეიტინგში 89-ე პოზიციაზეა, ხოლო მოლდოვის ნაკრები 2 საფეხურით დაქვეითდა და 161-ე პოზიაცია უკავია. რაც შეეხება სხვა გუნდებს ჩვენს შესარჩევ ჯგუფში: უელსსა და ირლანდია პოზიციები არ შეუცვლიათ და, შესაბამისად, მე-13 და 26-6 ადგილები უჭირავთ, ავსტრიამ კი საფეხურით აიმაღლა და 35-ე ადგილზეა, სერბეთმა კი ერთი ადგილი დაკარგა და 50-ეა.

საუკეთესო ათეულში მხოლოდ ერთი ცვლილება მოხდა, მე-10 ადგილს ესპანეთთან ერთად პოლონეთი იყოფს, რაც შეეხება პირველ სამეულს ის კვლავ უცვლელია – ბრაზილია პირველ ადგილს იკავებს, შემდეგ მოდის არგენტინა და სამეულს გერმანია კრავს.

## ბასილაშვილი დღეს ნადალს დაუპირისპირდება




ნიკოლოზ ბასილაშვილი საფრანგეთის ღია პირველობის მეთექვსმეტედფინალში ესპანელ რაფაელ ნადალს შეხვდება. ეს მას შემდეგ გაირკვა, რაც ქართველმა ჩოგბურთელმა სერბი ვიქტორ ტროიცკი 3 სეტში, 7:6, 7:6, 7:6 დაამარცხა.

როგორც ხედავთ, სამივე სეტის ბედი ტაიბრეიკზე გადაწყდა. არადა, ჩვენებურს საწყისი 2 სეტის მოგება გაცილებით იოლად შეეძლო, მაგრამ უპირატესობები ბოლო წამს გაანიავა. ერთია, ბასილაშვილმა ტაი ბრეიკზე მეტი მონდომა და საბოლოოდ მეტოქეს დანებება აიძულა.

ბასილაშვილის მომავალი მეტოქე ყველასთვის ცნობილია და თიხის კორტზე საუკეთესოდ ითვლება. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ნადალს როლან გაროსი 10-ჯერ აქვს მოგებული. ესპანელმა ოცდამეთორმეტედფინალში რობინ ჰასეს იოლად სძლია – 6:1, 6:4, 6:3.

ბასილაშვილი-ნადალის შეხვედრა დღეს გაიმართება.

## 19 წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას იწყებს

საქართველოს 19 წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ფარგლებში ათდღიან შეკრებას ბულგარეთში გაივლის. მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ყიფიანმა უკვე შეარჩია ის ფეხბურთელები, რომლებსაც 3 ივნისიდან შეკრებს. ვარჯიშის გარდა, 14 და 16 ივნისს, 19-წლამდელები 2 ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებენ მასპინძელ ბულგარეთთან.

ევროპის ჩემპიონატის წინ დასკვნით შეკრებას გიორგი ყიფიანის გუნდი უკვე თბილისში, ეროვნული ლიგის მეორე წრის დასრულების შემდეგ გაივლის.

**მეკარეები**: დავით კერესელიძე (ცხინვალი), გიორგი ჩოჩიშვილი (შევარდენი), ლუკა გუგეშაშვილი (იაგელონია, პოლონეთი);

**მცველები**: დავით კობოური, ლუკა ლოჩოშვილი, ლუკა ქაფიანიძე (ყველა დინამო თბ), ალექსანდრე კახიძე (ინტერალფა, რუსეთი), ნიკა მალი, ლუკა ლაკვეხელიანი, თომა ხუბაშვილი (ყველა საბურთალო), შალვა ბურჯანაძე (ტორპედო);

**ნახევარმცველები**: ლუკა ფოჩხუა (შევარდენი), გიორგი კუცია, გიორგი ჩაკვეტაძე (ორივე დინამო თბ), გიორგი ქოჩორაშვილი, თემურ ჩოგაძე (ორივე საბურთალო), რატი არდაზიშვილი, დავით სამურკასოვი, ირაკლი ბუღრიძე (ყველა ლოკომოტივი), ნიკა კვანტალიანი (დინამო ბთ);

**თავდამსხმელები**: გიორგი კოხრეიძე (საბურთალო), ვატო არველაძე (ლოკომოტივი), გაბრიელ საღრიშვილი (ტორპედო), თორნიკე დაგარგულია (შუქურა).

## გრიზმანი მანჩესტერში მიდის. დე ხეას მანჩესტერიდან არ უშვებენ




ბრიტანული მედიის ინფორმაციით, მანჩესტერ იუნაიტედი ანტუან გრიზმანს პირად კონტრაქტზე შეუთანხმდა.

იმ შემთხვევაში, თუ ტრანსფერი შედგება, იუნაიტედმა გრიზმანის მიერ მადრიდის ატლეტიკოსთან გაფორმებულ კონტრაქტში შეტანილი ფეხბურთელის გამოსასყიდი თანხა უნდა გადაიხადოს, რომელიც 100 მილიონ ევროს შეადგენს.

ესპანური პრესის ცნობით კი ინგლისური კლუბი ფრანგ ფორვარდს წელიწადში 14 მილიონ ევროს სთავაზობს.

გრიზმანმა გასულ სეზონში ატლეტიკოს მაისურით 53 მატჩი ჩაატარა, სადაც 26 გოლი გაიტანა და 10 საგოლე პასი მიითვალა.

ბრიტანელები ასევე ავრცელებენ დე ხეას ტრანსფერთან დაკავშირებით უახლეს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც იუნაიტედში დარწმუნებულნი არიან, რომ ესპანელი მეკარე გუნდში დარჩება.

26 წლის დავიდის ირგვლივ ჭორები არ წყდება და მას კვლავ სანტიაგო ბერნაბეუს უკავშირებენ. ესპანურ გრანდს ძალიან სურს დე ხეას გადაბირება და მზად არის, თითქმის გააორმაგოს მეკარის წინა ყველაზე მაღალი ხელფასი.

შეგახსენებთ, რომ ესპანელი კიპერი 2015 წელს ძალიან ახლოს იყო რეალში გადასვლასთან, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს ტექნიკური გაუმართაობის გამო მისი ტრანსფერი არ შედგა.

## შედეგები

**31 მაისი**

**ჩოგბურთი**

**როლან გაროსი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-სოუზა | 6:1,6:4,6:3 |
| ნადალი-ჰაასე | 6:1,6:4,6:3 |
| რაონიჩი-დუტრა სილვა | 4:6,6:2,6:3,6:4 |
| ტიმი-ბოლელი | 7:5,6:1,6:3 |
| გოფენი-სტახოვსკი | 6:2,6:4,3:6,6:3 |
| დიმიტროვი-რობრედო | 6:3,6:4,7:5 |
| პუიე-ბელუჩი | 7:6,6:1,6:2 |
| ბაუტისტა აგუტი-კუკუშკინი | 6:3,3:6,6:3,7:6 |
| რამოსი-ბონზი | 6:2,6:1,6:1 |
| კარენო ბუსტა-დანიელი | 7:5,6:4,4:6,6:0 |
| სებალიოსი-კარლოვიჩი | 7:6,7:6,6:3 |
| ჯონსონი-ჩორიჩი | 6:2,7:6,3:6,7:6 |
| გარსია ლოპესი-ტრუნგელიტი | 7:5,6:4,7:5 |
| ვესელი-ბედენე | 6:3,6:3,4:6,6:3 |
| ბასილაშვილი-ტროიცკი | 7:6,7:6,7:6 |
| შვარცმანი-ნაპოლიტანო | 6:3,7:5,6:2 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| მუგურუსა-კონტავეიტი | 6:7,6:4,6:2 |
| ჟაბორი-ციბულკოვა | 6:4,6:3 |
| კუზნეცოვა-დოდენი | 7:6,5:7,6:3 |
| ვ.უილიამსი-ნარა | 6:3,6:1 |
| ვოზნიაცკი-აბანდა | 6:0,6:0 |
| მლადენოვიჩი-ერანი | 6:2,6:3 |
| მატეკი-კვიტოვა | 7:6,7:6 |
| ბელისი-ბერტენსი | 6:3,7:6 |
| პუტინცევა-ლარსონი | 6:3,1:6,6:3 |
| სტოსური-ფლიპკენსი | 6:2,7:6 |
| ბაშჩინსკი-ბრენგლი | 6:0,6:2 |
| ჟანგი-სასნოვიჩი | 6:2,4:6,6:3 |
| ცურენკო-მაკაროვა | 6:2,6:2 |
| ოსტაპენკო-პუიგი | 6:3,6:2 |
| როჯერსი-ბუიუქაქჩაი | 7:6,6:4 |
| მერტენსი-ჰოგენკამპი | 6:3,6:4 |

## ქართველებმა არგენტინასთან ბრძოლაში წააგეს

### საქართველო-არგენტინა 26:37

თბილისსა და ქუთაისში დაიწყო 20 წლამდე მსოფლიოს ჩემპიონატი რაგბიში და გაიმართა პირველი ტურის შეხვედრები.

უმცროსმა ბორჯღალოსნებმა პირველ მატჩში კლასით უფრო ძლიერ არგენტინას დიდი ბრძოლა გაუმართეს და თამაშში ბოლომდე დარჩნენ, მაგრამ გამოუცდელობამ თავისი გაიტანა და გამარჯვება არგენტინელებს დარჩათ – 37:26.

იყო ეპიზოდები, როდესაც უმცროსი ბორჯღალოსნები უპირატესობას ფლობდნენ და თითქოს ლელოც ლოგიკური ჩანდა, თუმცა პატარ-პატარა შეცდომების გამო ქულების აღება ვერ მოხერხდა.

მთლიანობაში, პუმიტასმა გამარჯვება დამსახურებულად იზეიმა, მაგრამ მინიმუმ ქულას უმცროსი ბორჯღალოსნებიც იმსახურებდნენ. სამწუხაროდ, ბოლო ლელოს დადება ვერ მოხერხდა, თუმცა იმ ბიჭებმა, რომლებმაც არგენტინასთან მთელი 80 წუთი თავდადებულად იომეს, ქომაგისგან აპლოდისმენტები დაიმსახურეს და მოედანი თავაწეული დატოვეს.

სამწუხაროა, რომ საქართველოსა და არგენტინის მატჩზე ავჭალის სარაგბო სტადიონი ბოლომდე არ შეივსო. თუმცა, ტრიბუნებზე ბორჯღალოსნებიც გამოჩნდნენ, რომლებიც ამერიკული ტურნესთვის ემზადებიან. ასევე იყვნენ არგენტინელი ქომაგები, რომლებიც სამხრეთ ამერიკელებს მთელი შეხვედრის განმავლობაში შეუჩერებლივ ქომაგობდნენ. ტრიბუნაზე იყო მსოფლიო რაგბის პრეზიდენტი ბილ ბომონტიც.

პუმიტასმა ჰიმნი, ტრადიციულად, ემოციურად შეასრულა. მერე იყო ჩვენი ჰიმნი და თამაში პირველსავე წუთებიდან გახურდა. უმცროსი ბორჯღალოსნები მთელი შეხვედრის განმავლობაში უპირატესობას ფლობდნენ შერკინებაში, მაგრამ ღია თამაშში, სწრაფმა არგენტინელებმა რამდენჯერმე შეძლეს ხაზის გაჭრა და უპირატესობის მოპოვება. ქართველები ბურთზე კონტროლის დამყარებას და ფორვარდების ხარჯზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობდნენ, რაც ხშირ შემთხვევაში კარგად გამოსდიოდათ, მაგრამ ჩასაფრებული არგენტინელები მცირე შეცდომას არ გვპატიობდნენ.

ანგარიში გელა აფრასიძემ ჯარიმით გახსნა, რომელმაც შესვენებამდე კიდევ 3 შანსი მიიღო და ყველა გამოიყენა, აქედან ორი დარტყმა საკუთარი ნახევრიდან შეასრულა და მეტოქის გულშემატკივრების აპლოდისმენტებიც დაიმსახურა. ერთია, ამ პერიოდში მეტოქემ 3 ლელოს დადება მოახერხა, რომელთაგან მხოლოდ ერთი გარდასახა და შესვენებისას სხვაობა მხოლოდ 5 ქულა იყო – 12:17.

მეტოქე მიხვდა, რომ უმცროს ბორჯღალოსნებს იოლად ვერ გაუმკლავდებოდა და მეორე ტაიმის დასაწყისში აღარ გარისკა, ჯარიმა ორჯერ კარში დაარტყა და უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდა. ქართველებმა ფაზები გადააბეს და წითელ ზოლს უწიეს, ლელოც თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მეტოქემ იერიში ჯარიმის ხარჯზე შეაჩერა. 3 ქულის აღება ძალიან მარტივი იყო, თუმცა უმცროსმა ბორჯღალოსნებმა ლელოზე თამაში არჩიეს და სამწუხაროდ, უქულოდ დარჩნენ.

61-ე წუთზე მატიას სოსემ ინდივიდუალური გარღვევით არგენტინელთა მე-4 ლელო დადო და საკუთარ გუნდს ბონუს ქულა მოუტანა. უმცროსმა ბორჯღალოსნებმა 5 წუთში უპასუხეს: კარგი მოლი მეტოქემ ჩააქცია, ამას ფორვარდების რამდენიმე დარტყმა მოყვა, შეტევა ხაზზე გაიშალა, გიორგი გოგოლაძემ ბურთი გიორგი კვესელაძეს გააყოლა, რომელმაც 20-წლამდელთა წლევანდელ ჩემპიონატზე პირველი ქართული ლელო მიითვალა.

სოსეს კიდევ ერთ სწრაფ გარღვევას არგენტინელთა მორიგი ლელო მოყვა, მაგრამ ქართველთა პასუხიც სწრაფი იყო: 72-ე წუთზე ქართველებმა მოლით დაახლოებით 15 მეტრი იარეს და უშანგი ჭეიშვილის ლელო გოგოლაძემ გარდასახა.

დრო კიდევ საკმარისი იყო და უმცროსმა ბორჯღალოსნებმა 15-ფაზიანი შეტევა განახორციელეს, მაგრამ მეტოქემ თავის დაცვა მოახერხა და პრემიალური ქულის აღება არ დაგვანება.

ჩვენივე, ც ჯგუფში სამხრეთ აფრიკასა და საფრანგეთს შორის შეხვედრა ფრედ, ანგარიშით 23:23




დასრულდა.

საფრანგეთის მხრიდან ლელოები რომენ ბიუროსმა, ფლორიან დიუფურმა და ბაპტისტ კუიუმ დადეს. გარდასახვა და ორი არეკნი რომენ ონტამაკმა გაიტანა.

სამხრეთ აფრიკიდან ორი ლელოთი იარნო აუგუსტუსი გამოირჩა. ქერვინ ბოშმა კი ორი გარდასახვა და 3 ჯარიმა გაიტანა.

ა ჯგუფში ინგლისმა სამოას დიდი ანგარიშით მოუგო – 74:17. ინგლისელებმა მეტოქეს 12 ლელო დაუდეს. მაქს მელინზმა 2 ლელო და 4 გარდასახვა მიითვალა. 3 გარდასახვა ჯექობ უმანგამ გაიტანა, რომელიც შეცვლაზე შემოვიდა. 2-2 ლელო დადეს ზაკ მერსერმა, გაბრიელ იბითოემ, დომინიკ მორისმა და ალისთერ ქროსდეილმა, თითო-თითო ლელო მარკუს სტრიტმა და ქიარან ნაითმა მიითვალეს.

სამოადან 2 ლელო ლოსი ფილიპომ დადო. თითო გარდასახვა პიტო ტოეაფემ და ოიკუმენე პაისამმა გაიტანეს. ერთი ჯარიმაც რიკი ენემ ჩაიწერა ანგარიშზე.

ამავე ჯგუფში საინტერესო გამოდგა ავსტრალიისა უელსის მატჩი, სადაც მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა დაძაბულ ბრძოლაში ანგარიშით 24:17 იმარჯვეს.

ანგარიში მე-4 წუთზე უელსელებმა ქემერონ ლუისის ლელოთი გახსნეს, არველ რობსონმა კი გარდასახა. ავსტრალიელებმა საპასუხო ლელოს დადება და ანგარიშში დაწინაურება შესვენებამდე მოასწრეს – 10:7.

მეორე ნახევარში წინ ისევ უელსი გავიდა წინ – დეინ ბლექერმა დადო ლელო და რობსონმა გარდასახა. მაგრამ ამას ავსტრალიელებმა მალევე ჰარი ჯონსონ-ჰოუმსის ლელოთი და ჰარი ნუსიფორას გარდასახვით.

ანგარიში 76-ე წუთზე არველ რობსონის არეკნის შემდეგ გათანაბრდა – 17:17, მაგრამ ბოლო წუთზე უელსელთა იმედები იზაია პერეზმა ლელოთი დაასამარა, ნუსიფორამ კი გარდასახა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

ბ ჯგუფში, რომლის მატჩებიც ქუთაისში იმართება, ახალი ზელანდია შოტლანდიას შეხვდა და ანგარიშით 42:20 დაამარცხა. ბეიბი ბლექსმა შოტლანდიას 5 ლელო დაუდო, აქედან ლოტიმა ფაინგაანუკუმ 3 მიითვალა, ასევე გამოირჩნენ ასაფო აუმუა, დოლთონ პაპალიჰი და ორბინ ლეჯერი. ტიან ფოლქომ 3 გარდასახვა და 2 ჯარიმა გაიტანა.

შოტლანდიელთა მხრიდან ლელოებით ფრეიზერ რენვიკი, დარსი გრეჰემი და ენდრიუ ჰენდერსონი გამოირჩნენ. ჰენდერსონმა ასევე ერთი გარდასახვა გაიტანა, ქონორ ისთგეითმა კი ჯარიმა ზუსტად შეასრულა.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა მეორე მატჩი, სადაც ირლანდია იტალიას შეხვდა და სენსაციურად დამარცხდა – 21:22. აღსანიშნავია, რომ ირლანდიელები 0:12-ს აგებდნენ, მაგრამ მატჩში გარდატეხა შეიტანეს და წინაც გავიდნენ, მაგრამ იტალიელებმა მიწურულს მაინც გამოგლიჯეს გამარჯვება ირლანდიელებს.

იტალიიდან თითო-თითო ლელო დანილო ფისკეტიმ, იაკოპო ბიანკიმ და მასიმო ჩოფიმ დადეს. ჩოფიმ ასევე ერთი გარდასახვა გაიტანა. ანტონიო რიძიმ კი ერთი ჯარიმა და არეკნი მიითვალა.

ირლანდიიდან 2 ლელო ქელვინ ნეშმა დადო. კონორ დინმა ერთი გარდასახვა და 2 ჯარიმა გაიტანა. ქიარან ფროულიმ კი ერთი ჯარიმა ჩაიწერა აქტივში.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*



# როდის შეიძლება განვითარდეს ჩიყვი

**ჩიყვი ფარისებრი ჯირკვლის გადიდებას ჰქვია. დღეს ამ ორგანოს ზომების განსაზღვრის ყველაზე მიღებული მეთოდია მისი ულტრაბგერითი კვლევა ანუ ექოსკოპია. მისი საშუალებით იზომება ჯირკვლის თითოეული ნაწილი სამ განზომილებაში.**

**ზოგადად ტერმინი „ჩიყვი" ნიშნავს გადიდებულ ფარისებრ ჯირკვალს და, შესაბამისად, ჰორმონალური დისბალანსით განპირობებულ პათოლოგიას ჩიყვს ვერ დავარქმევთ.**

**რა არის ჩიყვი და როდის შეიძლება ის განვითარდეს? — ამ თემებზე კლინიკა „ლანცეტის" ენდოკრინოლოგი სოფო მებუკე საუბრობს.**



ეკა ირემაშვილი

**სოფო მებუკე:**

— ჩიყვი ფარისებრი ჯირკვლის გადიდებას ჰქვია. დღეს ამ ორგანოს ზომების განსაზღვრის ყველაზე მიღებული მეთოდია მისი ულტრაბგერითი კვლევა ანუ ექოსკოპია. მისი საშუალებით იზომება ჯირკვლის თითოეული ნაწილი სამ განზომილებაში.

***— რას ნიშნავს ჩიყვი?***

— ზოგადად ტერმინი „ჩიყვი" ნიშნავს გადიდებულ ფარისებრ ჯირკვალს და, შესაბამისად, ჰორმონალური დისბალანსით განპირობებულ პათოლოგიას ჩიყვს ვერ დავარქმევთ.

***— როდის შეიძლება განვითარდეს ჩიყვი?***

— ჩიყვი შეიძლება განვითარდეს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის როგორც დაქვეითებით, ისე გაძლიერებით მიმდინარე დაავადების ფონზე. ხშირად ჩიყვი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევის გარეშეც ვითარდება. ამას ეუთირეოიდული ჩიყვი ეწოდება.

ზომაში მნიშვნელოვნად მომატებული ფარისებრი ჯირკვალი შეიძლება დააწვეს მის გარშემო ქსოვილებსა და ორგანოებს, რაც იწვევს ყლაპვის გაძნელებას, კისერში ზეწოლის შეგრძნებას.

***— როგორ ვითარდება ენდემური ჩიყვი?***

— ენდემური ჩიყვი ფარისებრი ჯირკვლის გადიდებაა, რომელიც ორგანიზმისათვის იოდის მიწოდების ნაკლებობითაა განპირობებული. ენდემური ჩიყვი უვითარდება იმ რეგიონების მოსახლეობას, სადაც წყალსა და საკვებში იოდის ნაკლებობაა. ასეთია საქართველოს მთიანი რეგიონები: სვანეთი, ხევსურეთი, ყაზბეგი, მთიანი აჭარა, რაჭა, ზემო იმერეთი, აგრეთვე რუსეთი და ევროპა. მოზრდილის მიერ იოდის მოხმარების დღიური ნორმა 150 მკგ-ია, ხოლო აღნიშნულ რეგიონებში ადამიანის ორგანიზმში დღეში 50 მკგ-ზე ნაკლები იოდი ხვდება.

***— რა არის ფარისებრი ჯირკვლის კვანძოვანი წარმონაქმნები და რამ შეიძლება გამოიწვიოს იგი?***

— კვანძოვანი ჩანართი არის ჯირკვლის მორფოლოგიურად განსხვავებული წარმონაქმნი, რომელიც ვლინდება ხელით გასინჯვისას ანუ პალპაციით და ულტრაბგერითი კვლევით ანუ ექოსკოპიით. კეთილთვისებიანი კოლოიდური კვანძის განვითარების წინაპირობა ძირითადად იოდდეფიციტია. როდესაც კვანძები ძალიან მცირე ზომისაა და ჯირკვლის ჰორმონალური სტატუსიც შენარჩუნებულია, კლინიკურად პაციენტებში უსიმპტომოდ მიმდინარეობს და ხშირად მათ არც იციან მისი არსებობის შესახებ. დიდი ზომის კვანძები კი იწვევს კისრის დეფორმაციას, ყლაპვისა და სუნთქვის გაძნელებას, ხმის ჩახლეჩას და ვიზუალურადაც იოლი შესამჩნევია.

***— როგორ ხდება კვანძების დიაგნოსტიკა?***

— ფარისებრი ჯირკვლის კვანძების გამოვლენა ხდება პირველ რიგში პალპაციით ანუ ხელით გასინჯვით, კვანძის ულტრასონოგრაფიული კვლევით ანუ ექოსკოპიით, ჰორმონალური სტატუსის განსაზღვრით, სცინტიგრაფიით „ცხელი" და „ცივი" კვანძების გამოვლენის თვალსაზრისით — კვანძოვანი წარმონაქმნის ფუნქციური ავტონომიის შესწავლის მიზნით და საჭიროების შემთხვევაში დგება საკითხი წვრილნემსიანი ასპირაციული ბიოფსიის ჩატარების თაობაზე, მისი შემდგომი ციტოლოგიური და ჰისტომორფოლოგიური კვლევით, რაც უჯრედულ დონეზე შეისწავლის და გამოავლენს კვანძის სტრუქტურასა და მორფოლოგიას.

კეთილთვისებიანი კვანძის პროგნოზი, როგორც წესი, კეთილსაიმედოა, ხოლო კვანძის ავთვისებიანობის დადასტურების შემთხვევაში ხდება ოპერაციული გზით ფარისებრი ჯირკვლის ამოკვეთა — ტოტალური თირეოიდექტომია პლუს ლიმფადენექტომია, ხოლო ოპერაციის შემდგომ პაციენტი იმყოფება ელ-თიროქსინით ჰორმონჩანაცვლებითი თერაპიაზე მთელი ცხოვრების განმავლობაში, ასევე რეკომენდებულია თირეოგლობულინის დონის მონიტორინგი ენდოკრინოლოგის მიერ დანიშნული პერიოდულობით.

***— რა ცვლილებები მიმდინარეობს ორსულის ფარისებრ ჯირკვალში და აუცილებელია თუ არა იოდით პროფილაქტიკა?***

— ორსულობა ჯანსაღი ფიზიოლოგიური პროცესია, რომლის დროსაც ზოგი ორგანო გააქტიურებულ რეჟიმში მუშაობს, მაგალითად, ფარისებრი ჯირკვალი, ნაყოფი დედის ორგანიზმიდან იღებს იოდს და ორსულობის ვადის მე-12 კვირიდან თავად იწყებს ჰორმონ თიროქსინის წარმოებას. სწორედ იოდზე გაზრდილი მოთხოვნილების გათვალისწინებით აუცილებელია, ყველა ორსულმა, მეძუძურობის პერიოდის ჩათვლით, მიიღოს 200 მკგ იოდი, თუმცა გამონაკლისია თორეოტოქსიკოზის/ჰიპერთირეოზის არსებობა ორსულის ანამნეზში.

დედის ორგანიზმის მიერ ჰორმონის არასაკმარისი რაოდენობით წარმოებამ ანუ ჰიპოთირეოზმა შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის ზრდის შეფერხება, გონებრივი ჩამორჩენა, სიყრუე, სიელმე, გულის უკმარისობა/მანკი, ცენტრალური ნერვული სისტემის პათოლოგიები, კრეტინიზმი, დედის ორგანიზმში კი პრეეკლამფსია, ნაადრევი და/ან გართულებული მშობიარობა, ანემია, თვითნებითი აბორტი და სხვა.

***— რა რეკომენდაციებია გასათვალისწინებელი ჩიყვის პროფილაქტიკის თვალსაზრისით?***

— იოდდეფიციტურ კერებში მოსახლეობის პროფილაქტიკა მიზნად ისახავს საკვები იოდიზებული მარილის მოხმარებას. მისი დღიური ნორმის დიაპაზონი 5-8 გრამამდეა და არ არის დამოკიდებული სქესზე, ასაკსა და სეზონზე. ასევე იოდს დიდი რაოდენობით შეიცავს ზღვის კომპოსტო, თევზი, თევზის ქონი, ისპანახი. კალიუმის იოდით გამდიდრებულ მარილს თავისებური სუნი, ფერი და გემო აქვს. ვინაიდან იოდი აქროლადი ნაერთია, მარილი უნდა მოვარიდოთ ნესტსა და მზის სხივების უშუალო ზემოქმედებას. მისი შენახვა სასურველია მჭიდროდ დახურულ მუქ ჭურჭელში. იოდიანი მარილი კერძს არა მომზადებისას, არამედ ქურიდან გადმოდგმის შემდეგ უნდა დაემატოს, ვინაიდან მაღალი ტემპერატურა იოდის ინაქტივაციას იწვევს.

***— შეიძლება თუ არა იოდის პრეპარატებით თვითმკურნალობა?***

— იოდის პრეპარატებით თვითმკურნალობა და თვითპროფილაქტიკა ცალსახად დაუშვებელია. იოდის პრეპარატების მიღებამდე ჯერ უნდა დავაზუსტოთ, როგორ მუშაობს ფარისებრი ჯირკვალი. იოდშემცველი საშუალებების მიღება უკუნაჩვენებია ფარისებრი ჯირკვლის მომატებული აქტივობისას.

# შაქარზე უარის მთქმელი 70 წლის ავსტრალიელი საკუთარი ფიგურით კმაყოფილია



ავსტრალიის ქალაქ პერტის მცხოვრებმა ქალბატონმა, რომელმაც საკუთარი რაციონიდან შაქარი 28 წლის წინ ამოიღო, 70 წლის ასაკში ბიკინიში გამოწყობილმა ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

კაროლინ ჰარტცი დამატკბობლად ქსილიტს იყენებს, რომლითაც ის სხვადასხვა დესერტს ამზადებს. სამი შვილის დედა ფიქრობს, რომ 40 წლის შემდეგ ნებისმიერ ქალს შეუძლია შეცვალოს საკუთარი გარეგნობა უკეთესობისკენ, მაგრამ შენელებული მეტაბოლიზმის გამო ამისთვის ახალგაზრდულ ასაკთან შედარებით გაცილებით დიდი ძალისხმევაა საჭირო, ასევე ავსტრალიელ ქალებს მოუწოდებს, სწორად იკვებონ და ულუფა გამოზომილად შეარჩიონ.

იმისთვის, რომ სხვა ქალები წაახალისოს, რათა მათ საკუთარ თავს ყურადღება მიაქციონ, ჰარტცმა დააარსა კომპანია, რომელიც უშაქრო დესერტებსა და ნამცხვრებს ყიდის. ასევე ფირმის ვებგვერდზე ის აქვეყნებს რჩევებს ცხოვრების ჯანსაღი წესისა და გახდომისთვის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ადრიანა ლიმა ნიუ იორკში ბინას ყიდის

ბრაზილიელმა ტოპმოდელმა და ვიქტორია სიქრეთსის ვარსკვლავმა ადრიანა ლიმამ, რომელიც ნიუ იორკში ბინას ყიდის, თავისი აპარტამენტების ფასი ერთი მილიონით შეამცირა.

ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის აზრით, ლიმა მანჰეტენზე მაღალი დონის სახლების ბაზრის დაცემის მორიგი „მსხვერპლი" გახდა.

სუპერმოდელის აპარტამენტები ქალაქის ცენტრალური პარკის შორიახლოს მდებარეობს. მოდელმა ის 2003 წელს შეიძინა, ხოლო გასაყიდად პირველად სამწლინახევრის წინ გამოიტანა და მასში 5,5 მილიონი დოლარი მოითხოვა. 2016 წლის დეკემბერში ლიმამ ბინის ფასი 4,85 მილიონ დოლარამდე დაწია, ახლა კი მისი გაყიდვა 4,3 მილიონად სურს.

სუპერმოდელის პრესმდივანმა ამ საკითხზე კომენტარის გაკეთებას თავი აარიდა.



# ფილიპინელი მაკიაჟის წყალობით ქალ-საოცრებად გარდაისახა



ფილიპინელი მამაკაცი ქალ-საოცრებას მას შემდეგ დაემსგავსა, რაც პროფესიონალური მაკიაჟი გაიკეთა. მამაკაცმა ამის ამსახველი სელფი სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

მსახიობი და ტელეწამყვანი პაოლო ბალესტეროსი სოციალურ ქსელებში რეგულარულად აქვეყნებს ცნობილ პიროვნებებად საკუთარი გარდასახვის ამსახველ ფოტოსურათებს. მას ასევე ჰქონდა გაკეთებული მაკიაჟი ამერიკელი ტელევარსკვლავის კაილი ჯენერის, მომღერალ მერაია ქერის, ფილიპინელი მსახიობის პიი ვურტცბახისა და სხვების სტილში. ინსტაგრამში ფილიპინელის გვერდს ორ მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

ასევე 34 წლის ბაესტეროსს სხვადასხვა სახეის შექმნის შესახებ ონლაინტრანსლაციები მიჰყავს ფეისბუქშიც. მამაკაცს საკუთარი სახის ქალ-საოცრებასთან დასამსგავსებლად ერთი საათი და ექვსი წუთი დასჭირდა.

# ასტროპროგნოზი
## 2 ივნისისთვის



**ვერძი** — ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** — ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** — მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** — ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** — დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** — ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** — კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანკალი** — საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** — კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** — ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** — ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** — რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 2. დამოუკიდებელ ფერმერთა გაერთიანება-დასახლება ისრაელში; 3. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 4. საფრანგეთის პრეზიდენტი; 5. ნილოსისპირა პოპულარული კურორტი ეგვიპტეში; 7. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთით შეზავებული სახატავი საღებავი; 11. დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 12. დედამიწის არქტიკული ზონის უტყეო სივრცე; 13. საპირისპირო შეხედულებათა, ინტერესთა კონფლიქტი; 14. არგენტინელი მწერალი; 15. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 17. მთიანეთი ევროპაში; 19. ველოსპორტის ერთ-ერთი დისციპლინა.

**თარაზულად**: 5. პარიზის ძველი სახელწოდება; 6. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 8. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 9. სილვესტერ სტალონეს კინოროლი; 10. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისათვის ძველ საბერძნეთში; 11. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 13. ნეპალის დედაქალაქი; 14. მდინარე ოზურგეთში; 16. ინდოეთის ეროვნული გმირი; 18. გარეული ცხოველი აშშ-ში, რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო; 20. მუსიკალური გამის მეშვიდე საფეხური; 21. ქალაქი იმერეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხოკუ; 2. ფანზა; 3. იანძი; 4. ფლავი; 5. ესკიზი; 6. გოზინაყი; 8. დეგრადაცია; 10. კლეპტომანია; 11. ვაშლოვანი; 14. გრემიო; 15. ბურახი; 16. ქლესა.

**თარაზულად:** 1. ხარფუხი; 4. ფლემინგი; 7. კარნო; 9. ცირკი; 12. ჩიტაია; 13. აგუნა; 14. გრანდი; 17. ცაცხვი; 18. პლანიმეტრია; 19. ჰაუბიცა; 20. კაკაჩი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შუამთა; 2. იგრეკი; 3. პორტერი; 4. აირზენა; 5. კალიბრი; 7. ჰილტონი; 11. ჯანლი; 12. გიურზა; 13. რემარკი; 14. იპოთეკა; 15. ჩითილი; 17. პოლისი; 19. მწდე.

**თარაზულად:** 5. კონუნგი; 6. ფოლორცი; 8. კილი; 9. პერიე; 10. ბორანი; 11. ჯილა; 13. რისლინგი; 14. იანძი; 16. სპერი; 18. ოჩანი; 20. კარდენი; 21. ლექსიკა.

# რობერტ სტურუა: „რა ვართ? რა სენი შეგვეყრება ხოლმე ადრე ნორმალურ ადამიანს?“

რეჟისორი რობერტ სტურუა ქართველების მიერ ერთმანეთის დაცინვით გაკვირვებულია და ცდილობს, ამოხსნას ფენომენი, როცა ერთ ფილმში ითამაშებ, ერთ სპექტაკლს დადგამ ან ერთ ნახატს დახატავ და უკვე შენი თავი ყველაფერი გგონია.



**რობერტ სტურუა:**

— მოკლედ, ითამაშებ ერთ როლს, დადგამ რაღაც სპექტაკლს, დაწერ ერთ ლექსს, რაღაცას დახატავ და მორჩა — ყველაფერი შენ ხარ — დასცინი სხვას, საკუთარი ცოდვები გავიწყდება, პატიოსნებასა და პროფესიონალიზმზე აფრქვევ სიტყვათა ნიაღვარს. ბოლოს სამხატვრო ხელმძღვანელობას მოითხოვ, ან თეატრის გახსნას, ან, ბოლოს და ბოლოს, კულტურის მინისტრობასაც კი ეპოტინები. რა ვართ? რა სენი შეგვეყრება ხოლმე ადრე ნორმალურ ადამიანს? აღზრდა... ცოდნა... სინდისი...

# პრინცესამ ბელგიის პრემიერი პისტოლეტის გასროლით დააყრუა



ბელგიის პრემიერ-მინისტრი შარლ მიშელი იძულებული გახდა პარლამენტში სიტყვით გამოსვლა გადაედო, რისი მიზეზიც სმენასთან დაკავშირებული პრობლემა გახდა.

პრემიერს ინციდენტი ორშაბათს შეემთხვა, ის პრინცესა ასტრიდის გვერდით იდგა, რომელმაც პისტოლეტიდან გასროლით მარათონულ გარბენს მისცა სტარტი. გამოქვეყნებულ ფოტოსურათებზე ჩანს, რომ როგორც მიშელის, ისე ბრიუსელის მერის ივან მაიორისა და სხვა დამსწრეთათვის პისტოლეტის გასროლა უსიამოვნო მოულოდნელობა გამოდგა.

— პრემიერ-მინისტრმა 48-საათიანი მკურნალობის კურსი უნდა გაიაროს, — განაცხადა მისმა პრეს-მდივანმა ბარენდ ლეიტსმა.

შარლ მიშელმა უკვე გაიარა წინასწარი სამედიცინო გამოკვლევა.

# ბავარიის გზატკეცილი იქ გაფანტული ევროების გამო დაიკეტა



გერმანიის ქალაქ ინგოლშტადტის (ბავარია) პოლიციამ დროებით გადაკეტა გზატკეცილის ნაწილი, რათა იქ მიმოფანტული ფული აეკრიფათ.

ინციდენტი ღამით მოხდა. ბიზნესმენს, რომელიც ავტომაგისტრალზე მოტოციკლეტით გადაადგილდებოდა, შეკვრა გზაზე გადმოუვარდა, რომელშიც 9000 ევრო იდო წვრილი კუპიურებით და ის გზაზე მიმოიფანტა.

მამაკაცი მაშინვე ფულის შეგროვებას შეუდგა, ხოლო შემთხვევის თვითმხილველებმა პოლიცია გამოიძახეს. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციელებმა მოძრაობა გადაკეტეს და ბიზნესმენს ფულის შეგროვებაში მიეხმარნენ. საბოლოო ჯამში, მათ დაახლოებით 1500 ევროს პოვნა ვერ შეძლეს, ვინაიდან ის ქარმა წაიღო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

მარინა თარხნიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს სპორტულ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს, ბატონ ვაჟა დანელიას დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

**ლეილა დანელიას**

გარდაცვალების გამო.

კ.კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი მწუხარებას გამოთქვამს სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის ხელმძღვანელის, ხელოვნებათმცოდნე

**რუსუდან ქოჩქიანის**

გარდაცვალების გამო.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ რუსუდანთან. ის ყოველთვის დიდი სითბოთი და პატივისცემით იღებდა ცენტრის თანამშრომლებს და ყოველგვარ პირობას უქმნიდა იმისათვის, რომ ხელნაწერებთან ემუშავათ.

დიდი დანაკლისია ყველასათვის და მათ შორის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებისათვის ასეთი პროფესიონალი, გამოცდილი, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე ადამიანის წასვლა ამქვეყნიდან.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# გოჩა აბაშიძე 80 წლის გახდებოდა

ქართული კინოს მსახიობი გოჩა აბაშიძე 80 წლის გახდებოდა. 2017 წელი მისთვის საიუბილეო წელია. მსახიობმა მხოლოდ რამდენიმე ფილმში მოასწრო მონაწილეობის მიღება, თუმცა მაყურებელს თავი სამუდამოდ დაამახსოვრა.



„ცისკარა“, „მაია წყნეთელი“, „გლახის ნაამბობი“, „ჩვენი ეზო“ — ეს მხოლოდ ფილმების მცირედი ჩამონათვალია.

გოჩა აბაშიძე 24 წლის ასაკში გარდაიცვალა. მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. როგორც მისი მეუღლე, კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია აცხადებს, მსახიობს თავიდანვე აწეწილი ცხოვრება ჰქონდა და სულ პრობლემებთან გამკლავებას უნდებოდა. პირად ცხოვრებაში დაგროვილ პრობლემებს კარიერული პრობლემები და ვალებიც დაერთო, რის გამოც გოჩა აბაშიძემ შაბიამანი დალია და თავი მოიკლა.

მიუხედავად იმისა, რომ ნუნუ გაბუნიამ და გოჩა აბაშიძემ ერთად საკმაოდ ცოტა ხანს იცხოვრეს, მათ ქალიშვილი მანანა შეეძინათ. მსახიობი დიდი პოპულარობით სარგებლობდა სუსტი სქესის წარმომადგენლებში და მის სახელთან სასიყვარულო ურთიერთობებიც იყო დაკავშირებული. ნუნუ გაბუნია მეუღლეს სწორედ ასეთი სასიყვარულო ურთიერთობის გამო გაშორდა. მიუხედავად იმისა, რომ გოჩა აბაშიძე მეუღლეს შერიგებასა და პატიებას სთხოვდა, კომპოზიტორმა მისთვის პატიება ვერ შეძლო და აღარ დაუბრუნდა, თუმცა გოჩა აბაშიძე ისე გარდაიცვალა, ნუნუ გაბუნიასთან განქორწინებული არ ყოფილა.

# ექვთიმე თაყაიშვილის ფილმზე მომუშავე გუნდს ბინა აჩუქეს

ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ექვთიმე თაყაიშვილის ფილმზე მომუშავე გუნდს ფილმის დასასრულებლად ბინა აჩუქეს. ინფორმაცია ფილმის რეჟისორმა ნიკოლოზ ხომასურიძემ გაავრცელა:



— ძალიან მაგარი ამბავი მოხდა. ექვთიმეს ფილმს გადმოსცეს საცხოვრებელი ბინა 68 კვ.მ. ახალ მშენებლობაში, რომ მოხდეს მისი გაყიდვა და ამ თანხით ფილმის გადაღებების დასრულება. ეს გააკეთა ჩემმა ახლადშეძენილმა მეგობარმა და უმაგრესმა ქართველმა, რომელმაც მთხოვა, მისი ვინაობა არ მეთქვა. თუმცა ფილმის გამოსვლის დროს აუცილებლად ვიტყვი ამას. მოვიფიქრებ, ზუსტად როგორ მოვახდენთ ამ ყველაფერს. ასეთ დროს მადლობის თქმა რთულია ხოლმე, მაგრამ ეს არის ის მხარდაჭერა, ურთიერთგაგება და საერთო ეროვნული მიზნისკენ სწრაფვა, რომლითაც გამოირჩეოდნენ და დღესაც გამოირჩევიან ქართველები ყველაზე კრიტიკულ და საჭირო დროს. ჩვენ ერთად დგომით ძალიან ბევრი სიკეთის გაკეთება შეგვიძლია ყველაზე მაგარი სამშობლოსთვის — საქართველოსთვის. ექვთიმე თაყაიშვილის სული ალბათ ძალიან ბედნიერია, რომ მას ასეთი ლაშქარი ჰყავს XXI საუკუნის დასაწყისში.

შემოქმედებითმა გუნდმა ბინის სასწრაფოდ გაყიდვა და ფილმის დასრულება გადაწყვიტა:

— იყიდება ბინა სასწრაფოდ! ვინც გეგმავთ ბინის შეძენას, უკეთეს ვარიანტს ვერ ნახავთ! თანხა მოხმარდება ექვთიმეს ფილმის ბოლო 3 დღის გადაღებების დამთავრებას. ეს ბინა გვაჩუქა ჩვენმა მეგობარმა ფილმის დასამთავრებლად, რომელიც არის ძალზე კეთილი და ქველმოქმედი ქართველი. ასევე ძალიან მადლიან და ეროვნულ საქმეს გააკეთებს მისი შემძენი. ბინა მდებარეობს შავი ზღვის ქუჩაზე, არის მე-6 სართულზე, 68 კვმ. თეთრი კარკასი, ფასი 1500 ლარი — 625 დოლარი 1კვმ. ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობა და ჩაბარდება 2018 წლის დეკემბერში. მსურველს შეუძლია ბინის განვადებით შეძენაც. შემძენი ხდება ექვთიმეს ფილმის მხარდამჭერი და ქველმოქმედი შემოქმედი. ჩვენგან საჩუქრად გადავცემთ მას ბინის დიზაინს, ნახატებით გაფორმებას, ექვთიმეს პრემიერის მოსაწვევებს და კიდევ ბევრ სიურპრიზს ექვთიმეს ლაშქრისგან. ერთად გავაცოცხლოთ ექვთიმე თაყაიშვილისა და ქართული საგანძურის გამორჩეული ისტორია.

# ავთანდილ ვარსიმაშვილმა 6 ნომინაციაში გაიმარჯვა

გრიბოედოვის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელ ავთანდილ ვარსიმაშვილის მიერ დადგმულმა სპექტაკლებმა საერთაშორისო ფესტივალზე ექვს ნომინაციაში გაიმარჯვეს.



უკრაინაში გამართულ მე-19 საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე „ტავრიის მელპომენა“ ფესტივალის საექსპერტო საბჭომ ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლებს 6 ნომინაციაში მიანიჭა პრიზი: საუკეთესო რეჟისურა სპექტაკლისთვის „რევიზორი“ — თბილისის ალექსანდრე გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამატული თეატრი, დიდი სცენის საუკეთესო სპექტაკლი — „რიჩარდ მესამე“ — კიევის ივან ფრანკოს ეროვნული აკადემიური თეატრი, მამაკაცის საუკეთესო როლი — ბოგდან ბენიუკი — რიჩარდ მესამეს როლისთვის სპექტაკლში „რიჩარდ მესამე“ — კიევის ივან ფრანკოს ეროვნული აკადემიური თეატრი, ქალის საუკეთესო როლი — ტატიანა შლიახოვა — ლედი ანას როლისთვის სპექტაკლში „რიჩარდ მესამე“ — კიევის ივან ფრანკოს ეროვნული აკადემიური თეატრი, მამაკაცის მეორე პლანის საუკეთესო როლი — ოლეგ სტალჩუკი — გლოსტერის როლისთვის სპექტაკლში „რიჩარდ მესამე“ — კიევის ივან ფრანკოს ეროვნული აკადემიური თეატრი, ქალის მეორე პლანის საუკეთესო როლი — ნატალია კორპანი — დედოფალი მარგარიტას როლისთვის სპექტაკლში „რიჩარდ მესამე“ — კიევის ივან ფრანკოს ეროვნული აკადემიური თეატრი.

ფესტივალი „ტავრიის მელპომენა“ ავთანდილ ვარსიმაშვილის სპექტაკლით „რიჩარდ მესამე“ გაიხსნა, რომელიც რეჟისორმა უილიამ შექსპირის მიხედვით უკრაინის ერთ-ერთ ყველაზე განთქმულ ივან ფრანკოს ეროვნულ აკადემიურ თეატრში დადგა.

საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „ტავრიის მელპომენა“ ყოველწლიურად 1999 წლიდან უკრაინის ქალაქ ხერსონში მაისის ბოლო კვირას ტარდება. ფესტივალის არსებობის 18 წლის განმავლობაში „ტავრიის მელპომენის“ მონაწილე 20 ქვეყნის 130 თეატრი გახდა.



# ლაშა ხოზაშვილი: „ვინც არ იცნობთ ანის, ნუ განსჯით!“

საბალეტო დასის ბალერინა ანი მურადელის მიერ დედის მკვლელობის ფაქტი კვლავაც რჩება ფართო საზოგადოების განხილვის თემად.

ანის პარტნიორები თუ მეგობრები მას დადებით და კეთილ ადამიანად ახასიათებენ და უჭირთ იმის გააზრება, რაც რეალურად მოხდა.

ბოსტონის ბალეტის პრემიერი ლაშა ხოზაშვილი, რომელიც ანის პარტნიორი იყო და მრავალი პარტია აქვს მასთან ნაცეკვი, სთხოვს ყველას, თავი შეიკავონ მოცეკვავის განსჯისგან:

— ჩემთვის დაუჯერებელია ის ტრაგედია, რაც მოხდა.

ანი მურადელი — ჩემი მეგობარი, ჩემი პარტნიორი, რომელთანაც მრავალი პარტია მაქვს ნაცეკვი.

რაც მოხდა, წარმოუდგენელი ამბავია...

მივმართავ იმ ადამიანებს, ვინც არ იცნობს ანის, ნუ განსჯით!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**პარასკევი 2 ივნისი**

**07.00** დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "ყველა კითხვა" **15.00, 03.20** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00** დოკ/ფ "ცნობისმოყვარეობა. შექმნა თუ არა ღმერთმა სამყარო" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **19.00** ტ/სერიალი. "ძველი ხიდის საიდუმლო" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** თოქ-შოუ — "რეალური სივრცე" **23.00** მხ/ფ "**ნაიარევი სახე**" **01.50** მხ/ფ "**ტყუილის გამოგონება**" (ჯ.გარნერი)

**08.00** დოკ/ფ "ამფორების გზა" **09.00** დოკ/ფ "კოდის კონცხი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დოკ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" **11.05** დოკ/ფ "პოლივირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "ბრიფინგის დრო" **19.25** **ფეხბურთი**. - ეროვნული ლიგა. "**დილა**" - "**ლოკომოტივი**" **21.20** "ეპიცენტრი" **22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ცეკვავენ ვარსკვლავები **00.00** მხ/ფ "**სიკვდილის ორდერი**" **01.35** მხ/ფ "**კარგი ექიმი**" **03.30** მხ/ფ "**ოპერაცია დელტა 2**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 37 **00.00** სერ. "**სამშობლო**" 10

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**ფოლადის კაცი**" **01.10** მხ/ფ "**სუპერმენის დაბრუნება**"

**06.15** კვირიაკე **07.10** დ/ფ "ველური ბუნება"-აფრიკა **07.35** წმინდანები-"წმინდა მოციქულთა სწორი ნინო" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "რაინდები-გივი კარტოზია" **10.40** თბილისის ტაძრები-"მამა დავითი" **10.45** ძველი აფიშა-"დაკარგული ნიღბები-თ.ჩანტლაძე" **11.20** "ერთსულოვანი ოჯახი" **12.10** მხ/ფ "**შერეკილები**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.20** სამყაროს შექმნა **15.30** სად უჩინარდებიან ჩემპიონები-"ქეთევან ლოსაბერიძე" **15.50** კონცერტი **17.05** დ/ფ "მაცხოვარი ლატალისა" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**მოდი ვილაპარაკოთ**" **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი, კოიოტი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "კავთურის ხეობა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი-"ილორი" **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "პატრიარქის მოგზაურობა ცაგერისა და ლენტეხის ეპარქიაში" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **23.00** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 ივნისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4181 |
| ევრო | 2.7104 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.107 |
| 100 რუსული რუბლი | 4.2638 |

## ამინდის პროგნოზი 2 ივნისისთვის





## 1 ივნისიდან




ონორე დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი I

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

## 8 ივნისიდან




ონორე დე ბალზაკი
**გამქრალი ოცნებანი**
წიგნი II

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

## 6 ივნისიდან

საქართველოს მეფეთა ისტორია




ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი


# იუმორი

პოლიციელი შუაახიელს დააკავებს და ეკითხება:

– თქვენი დაბადების ადგილი.

– უბრალოდ დაწერეთ, ყაზახეთი.

– უფრო ზუსტად?

– უბრალოდ ყაზახეთი დაწერეთ, ყველა მასე წერს.

– შენ მასწავლი, როგორ უნდა დავწერო?!!!

– კარგით, დაწერეთ: ყიზილორდინის ოლქის ყარამკიშინის რაიონი, სოფელი იანიკურგან!

– ჩავწეროთ... ყაზახეთი...

•••

ქალი მაღაზიაში რეკავს და ეუბნება:

– გუშინ მაცივარი შეგიკვეთეთ. დღეს დილით მოიტანეს. მისი ხარისხი არ მომწონს და მინდა ჩემი ფული დავიბრუნო!

– რა დაემართა მაცივარს? არ მუშაობს?

– აბა მე რა ვიცი, მუშაობს თუ არ მუშაობს... კარში არ ეტევა!

•••

ახლად დაქორწინებულები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს მხოლოდ სიმართლეს ეტყოდნენ. ერთხელაც ქმარი მივლინებით გაემგზავრა. უკან მატარებლით ბრუნდება და თავისთვის ფიქრობს, აი, როგორი ერთგული ვარ, ერთ ქალსაც კი არ გავკარებივარ. ამ დროს ზედა საწოლიდან ქალის მშვენიერი ფეხი გადმოეკიდა. კაცმა ველარ მოითმინა და ტერფზე ხელი წაავლო, ქალმა ფეხი არ ასწია, კაცმა ხელი უფრო ზევით ააცოცა, მერე კიდევ უფრო ზევით, კიდევ უფრო ზევით. მოკლედ, პირველივე გაჩერებაზე ჩამოვიდნენ, სასტუმროში ნომერი იქირავეს და სიყვარულის მორევში გადაეშვნენ. შემდეგ ქმარი ფიქრობს:

– ცოლს სიმართლე უნდა შევატყობინო, თორემ ცოლი მელოდება და ნერვიულობს.

ცოლს მისწერა მესიჯი:

– სახლში მოვდიოდი, ფეხი გადამიბრუნდა, ვწევარ საწოლში, გეხვევი და გკოცნი, შენი მეუღლე.

•••

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, მინდა, კარიერა ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებაში ავიწყო.

– სახელმწიფო სექტორში თუ კერძოში?

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ალკოჰოლთან პრობლემები გაქვს?

– ალკოჰოლით არა, მის გარეშე კი – უთვალავი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 23 მაისიდან




ლაშა იმედაშვილი
**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**
**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი
ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


# გერმანიაში ღვთის მსახური რობოტით ჩაანაცვლეს

გერმანიის ქალაქ ვიტენბერგში გამოჩნდა რობოტი ღვთის მსახური, რომელიც მორწმუნეებს ლოცავს და ბიბლიას კითხულობს.

მანქანის, რომელიც ჰესენისა და ნასაუს ევანგელისტური ეკლესიის მიერაა შექმნილი, ლითონის მკერდის დიდი ნაწილი სენსორულ ეკრანს უკავია. რობოტი მომხმარებელს მიესალმება და სთავაზობს, შეარჩიოს ხმა და ლოცვის ტიპი. ამის შემდეგ, ის ხელებს ზეცისკენ აღაპყრობს და წარმოთქვამს: „უფალმა დაგლოცოთ და დაგიფაროთ“. შემდეგ ისმის გამონათქვამები ბიბლიიდან, რომლის სურვილის შემთხვევაში ამობეჭდვაც შეიძლება.




ეკლესიის წარმომადგენელმა სებასტიან ფონ გერენმა აღიარა, რომ ელექტრომექანიკურმა ღვთისმსახურმა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მრევლის ნახევარს ის მოეწონა, სხვებისთვის კი მანქანის დალოცვა მიუღებელია. გერენი ამტკიცებს, რომ რობოტმა განსაკუთრებით ის ადამიანები დააინტერესა, რომლებსაც რელიგიისგან თავი შორს ეჭირათ.

# ნახევრად შიშველი კონდიტერი სოციალურ ქსელში პოპულარული გახდა



ბრიტანეთის ქალაქ ნორიჯის მცხოვრები, რომელიც ნამცხვრების ცხობით არის დაკავებული, სოციალურ ქსელებში პოპულარული მას შემდეგ გახდა, რაც მაისური გაიხადა.

25 წლის მეტ ადლარდმა ცხობას ორი წლის წინ მიჰყო ხელი. ის აქვეყნებს ვიდეოჩანაწერებს, რომლებშიც მაყურებლებს უხსნის სხვადასხვა რეცეპტს. ვიდეორგოლებისთვის ის მაისურს იხდის და მხოლოდ წინსაფარს იკეთებს. იუთუბში მის არხს თვალს 125 ათასზე მეტი მომხმარებელი ადევნებს.

ინტერნეტში ადლარდის ნიკი – Topless Baker – ითარგმნება, როგორც „შიშველი მცხობელი“. მამაკაცი თავის მაყურებლებს ასწავლის ტორტის, შოკოლადისა და მარწყვის ტარტალეტების, ოჯახური ფუნთუშების, ზეფირისა და სხვა ნუგბარის დამზადებას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# მოჰამედ სალაჰი ლივერპულში თამაშზე თანახმაა



რომას ეგვიპტელი შემტევი მოჰამედ სალაჰი ლივერპულში გადასვლაზე თანახმაა. ასეთი ინფორმაცია ვრცელდება იტალიურ პრესაში.

სალაჰს ინგლისური ფეხბურთი ძალიან იზიდავს და ინგლისში თამაში ყოველთვის იყო მისი ოცნება. ლივერპულს სალაჰის ტრანსფერი იაფი არ დაუჯდება, რადგან რომა 40 მილიონ ევროზე მეტს ითხოვს.

სალაჰი რომას ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, ამიტომ იტალიური გუნდი მას, სავარაუდოდ, ადვილად არ დათმობს.

სალაჰი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ ფეხბურთელად ითვლება.

# ერნესტო ვალვერდე ნოუ კამპს ეწვია

ბარსელონის ახალი მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე 1 ივნისს ნოუ კამპს პირველად ეწვია და პრესკონფერენციაც გამართა.



ვალვერდეს თქმით, ის ამაყია, რომ ბარსელონამ ნდობა გამოუცხადა და შეეცდება, ეს ნდობა ბოლომდე გაამართლოს.

– ბარსელონა უდიდესი გუნდია და შევეცდები, ის უფრო განსაკუთრებული გავხადო. ერთი სული მაქვს, მუშაობა დავიწყო და ყველას ვაჩვენო, რა შემიძლია. ფეხბურთელობის დროს ბარსელონაში წარმატებას მივაღწიე და, იმედია, ამჯერადაც წარმატებული ვიქნები, – განაცხადა ერნესტო ვალვერდემ.

ვალვერდემ კომენტარი არ გააკეთა იმაზე, თუ ვის ყიდვას აპირებს ბარსელონა ზაფხულში. ვალვერდეს თქმით, ის ჯერჯერობით ამ საკითხებზე არ ფიქრობს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ბრიტანული ტაქსი; 2. მარადმწვანე ხე, ბუჩქი; 3. სპორტული სასეირნო ნავი; 4. ფარისებრი ჯირკვლის დაავადება; 5. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 6. ტვირთის გადაზიდვა შუალედური პუნქტის გავლით; 8. თევზების შემსწავლელი ზოოლოგიის ნაწილი; 10. ჩეხური ლუდი; 11. სტადიონი კარდიფში; 14. სპორტული სარბოლო მანქანა; 15. აფხაზეთსა და სამეგრელოში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 16. უელსის ნაკრებისა და „რეალის“ ფეხბურთელი.

**თარაზულად**: 1. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 4. კინოცენტრი იტალიაში; 7. მოწინააღმდეგის დაშინების ხერხი პოკერში; 9. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. დროებით სხვასთან შეკედლებული პირი; 13. „სამი მუშკეტერის“ პერსონაჟი; 14. დიდი სარეკლამო სტენდი; 17. შტატი აშშ-ში; 18. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი ქალი; 19. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 20. დაქირავებული მკვლელი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

